

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

78-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2019 წლის 24-26 დეკემბერი

თბილისი
2019

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში
(ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

24 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

- ამირან ბასილაშვილი – ფრინველის აღმნიშვნელი ერთი საერთო ქართულ-უდიური ფუძის შესახებ
- თეა ბურჭულაძე – ერთი სახის დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის
- გიორგი გოგოლაშვილი – მუხრან მაჭავარიანის ერთი სტროფის პუნქტუაციური ვარიანტები
- ქეთევან დათუკიშვილი – ბრუნების ტიპებისა და ფუძის ფონეტიკურ სახეობათა ურთიერთმიმართებისათვის თანამედროვე ქართულში
- თამარ ვაშაკიძე – კვლავ სახელისა და გვარის ინვერსიული რიგისათვის თანამედროვე ქართულში
- მაკა ლაბარტყავა – **გან/-დან** თანდებულისა სახელთა მართლწერის საკითხები (სამეცნიერო ენაში)
- თეონა ლაფაური – სტანდარტიზაცია
- ნანა ლოლაძე – პოზიციური ზმნების ფუნქციონირების თავისებურებები ქართულში
- ნანა მაჭავარიანი – აბრუ (ეტიმოლოგია)
- სალომე ოშიაძე – „ნაყოფანების“ ენობრივი ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში
- ალექსანდრე რუსეცკი – პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიის როლი ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში

25 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – მედეა ღლონტი

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ – კვლავ სადაურობის სახელთა წარმოებისათვის

მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი – ქართ. **მარტივის** თავდაპირველი სემანტიკისათვის

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა – საუბრის გამომხატველი იდიომებისა და შესიტყვებებისათვის მეგრულში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – რამდენიმე პოეტური ექსპერიმენტის ენობრივი თავისებურებანი

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – ს.-ქართვ. ***არ-** „ყოფნა“ ზმნის ბასკურ-კავკასიური იზოგლოსებისათვის

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველი ლექსიკარ. ინანიშვილის ენის მიხედვით

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ ა ი ა ლ ო მ ი ა, რ ა მ ა ზ ქ უ რ და ძ ე – უქონლობა-უარყოფის სემანტიკის მქონე დერივაციული სახელები ქართველურ ენებში

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ქვევრის ეტიმოლოგიისათვის

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – რატომ არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ხორბლის უძველესი სახეობის აღმნიშვნელი სახელი **მახა**?

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე **მა-**ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან

მ ა რ ი ნ ა ჯ ლ ა რ კ ა ვ ა – დუთხური მეტყველების ზოგი თავისებურების შესახებ

26 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

პროექტი FR-217848 – „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“

ქეთევან მარგიანი - დადვანი, რუსუდანი ოსელიანი - დალის (resp. კოდორის) ხეობის ანთროპოლოგია
ქეთევან მარგიანი - სუბარი - კვლავ კოდორული მეტყველების შესახებ

იზა ჩანტლაძე – მორფონოლოგიური ინტერფერენცია ცალკეულ ლექსემათა შიგნით ან მათ ზღვარზე (კოდორულ დევნილთა სვანური მეტყველების მიხედვით)

პროექტი NFR -18-3659 – „კაკასიურ-ქართული ლექსიკონი. II.“

ნოდარ არდოტელი – ოიკონიმთა წარმოება დიდოურ ენაში

დიანა კაკაშვილი – წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის შექმნის პრინციპები

რომან ლოლუა – ლეზგიური ლექსიკის შესწავლის ისტორიიდან

ვაჟა შენგელია – ყაზარდოული ენის ლექსიკის შესწავლის ისტორიიდან

პროექტი №FR-18-072 – „არსებით სახელთა
კომპოზიტიური წარმოება კავკასიურ ენებში
(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“

ლევან აზმაიფარაშვილი – სიტყვაწარმოებითი
იზოგლოსების შესახებ კავკასიის ენებში

ნოდარ ადოტიელი – განსაზღვრებითი კომპოზიტები
დიდოურ და ბეჭიტურ ენებში

მანანა ბუკია – კომპოზიტიური არსებით სახელთა
წარმოებისათვის ქართულ, აფხაზურ და ადიღეურ ენებში

დიანა კაკაშვილი – თხზულ არსებით სახელთა კლა-
სიფიკაცია ქართულ და ნახურ ენებში

რომან ლოლუა – განსაზღვრებითი კომპოზიტები (com-
posita determinativa) ლეზგიურ ენაში

ამირან ბასილაშვილი

ფრინველის აღმნიშვნელი ერთი საერთო ქართულ-უდიური ფუძის შესახებ

ფრინველების სახელწოდებათა უმრავლესობა მათ მიერვე გამოცემული ხმის მიხედვით არის მოტივირებული. საერთოდ, ბგერწერითობას უდიდესი ადგილი უჭირავს ყველა ენის ლექსიკური ფონდის ჩამოყალიბებაში. ენათა შედარებითი შესწავლის ისტორიიდან ცნობილია, რომ გენეტიკურად საერთო მასალაში ფონემათ-შესატყვისობათა კანონზომიერების დარღვევა ხშირად ბგერწერითაა განპირობებული. თუმცა არსებობს არაერთი მაგალითი, როცა ექსპრესიული ხასიათის ლექსიკაშიც ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერება და რეგულარობა სრულად არის დაცული. ამ ენობრივი უნივერსალიიდან, ცხადია, არც კავკასიურ ენათა სინამდვილეა გამონაკლისი.

ამ მცირე თეორიული შესავალის მიზანი ერთი ახალი ქართულ-უდიური ლექსიკური დაკავშირების მცდელობაა. ქართ. **ტოროლა**-ს ზანურსა და სვანურში პარალელები არ უჩანს, მაგრამ მისი ეკვივალენტი უნდა ჩანდეს უდიურ **ტრატრა** „ტოროლა“-ში, რომელიც ფუძეგაორკვევით არის მიღებული. *ტოროლა*-ში **-ოლ** ალბათ სუფიქსია (შდრ. დიალექტური ფორმები: ფშაური *ტორუა*, ხევსურული *ტორო / ტურუოა*).

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ერთი სახის დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოების მნიშვნელობას. ის აზუსტებს და მიუთითებს

იმაზე, თუ სად ხდება, საიდან იწყებს ან საით მიემართება მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედება.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება მიმართებითი ზმნიზედებით (სადაც, საიდანაც, საითკენაც, სადამდეც). აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში **სადაც** მიმართებითი ზმნიზედა კი არის წინადადებაში, მაგრამ გაჭირდება მისი ადგილის გარემოებად გაგება, რადგან ამ შემთხვევებში მისი სინტაქსური ფუნქცია არ არის ადგილის გარემოების გადმოცემა. მაგალითად: „**სადაც** ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რაღა დასატოვებელი ვარ“ (აკაკი); „**სადაც** ამდენი გაგიკეთებია, ახლა იხევ უკან?“ (ფანჯ.); „**სადაც** სამართლია, უნდა ჩამოეხრჩოთ“ (ჯავ.); „**სადაც** ეს შეძელი, ყველაფერს მოახერხებ“ (რჩეულ.). ამგვარივეა ეს წინადადებაც: „თუ **აქაც** აღარავინ აღმოჩნდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა“ (აკაკი).

დასახელებულ წინადადებებში ზმნიზედები შინაარსობრივად არ გამოხატავენ რეალურ ლოკალურ პუნქტს, ზუსტ ადგილს, ეს უფრო პირობითი ადგილია. გარდა ამისა, მთავარ წინადადებაში არ მოიაზრება და არ ჩანს ის, რომ დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებას ხსნის და აზუსტებს. დასახელებული წინადადების დამოკიდებული კომპონენტები უფრო ერთგვარ პირობას, წინაპირობას გამოხატავენ, რომელიც მოხდა, მოხდება ან ხდება. შინაარსობრივად ჩანს, რომ რაღაც მოქმედება შესრულებულია და მთავარ წინადადებაში დამოკიდებულის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ქმედება გამოხატული. ანალოგიურია ვითარება ისეთ წინადადებებში, რომლებშიც არამხოლოდ **სადაც** მიმართებითი ზმნიზედაა, არამედ საკორელაციო სიტყვა იქ დასტურდება: „**სადაც** სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობა?“ (აკაკი); „**სადაც** არ გვეყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას“ (ჯავ.); „**სადაც** ეს გააკეთა, იქ ამასაც შეძლებს“ (ფანჯ.). ერთი შეხედვით, ამგვარი წინადადების ადგილის გარემოებით დამოკიდებულად მიჩნევას ამყარებს საკორელაციო სიტყვა იქ, რადგან ის თითქოს გარკვეულ ადგილზე მიუთითებს, მაგრამ აქაც ზუსტი მდებარეობა კი არა, ერთგვარ პირობით ადგილად, პირობად ჩანს ამგვარი მისათითებელი და საკორელაციო სიტყვები.

დასახელებული ტიპის წინადადებები სინტაქსურად ტრადიციული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ტოლმადლოვანი არ არის, ფუნქციურად განსხვავდება სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებათაგანაც. ამიტომ, ვფიქრობთ, ისინი არ არის ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, აგებულიებით მთვარის მიმართ დამოკიდებულია, რადგან ის მთლიანად მიემართება მთავარ წინადადებას და გამოხატავს მთქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მთავარში არის გადმოცემული.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

მუხრან მაჭავარიანის ერთი სტროფის პუნქტუაციური ვარიანტები

მუხრან მაჭავარიანის ერთი სტროფის პუნქტუაციურ ვარიანტებს წარმოვადგენთ სხვადასხვა გამოცემათა მიხედვით.

პირველი სამი ავტორისეული წინასიტყვაობიდან ან მოგონებებიდან არის ამოღებული; ბოლო ორი – ლექსთა კრებულიდან.

	1	2	3	4	5
ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა	,	;	,	!	!-
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად	,	;	;	!-	!-
მიწიანა, /კაცინა, /ციანა	,	,-	,-	!-	,-
საქართველოს მოთმინების ფიალას	!	.	!	!	!

1. „ჩანაწერები“, გვ.45;
2. „ჩანაწერები“, გვ. 53;
3. ოთხტომეულის წინასიტყვა;
4. ასი ლექსი;
5. ოთხტომეული, ტ. I.

სტანდარტული (ნორმატული) პუნქტუაციის წესებს I ვარიანტი ემთხვევა; II და III – ნაწილობრივ. IV და V „მუხრანული“ ვარიანტებია.

რა არის მიზეზი პუნქტუაციური ვარიანტების ასეთი მრავალფეროვნებისა? როგორც ჩანს, ეს იმაზეა დამოკიდებული, პოეტი რა განწყობაზეა, როგორ კითხულობს ერთსა და იმავე სტროფს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში. პირველ სამ შემთხვევაში ამბავს გვიყვება, ამიტომაც პუნქტუაცია ჩვეულებრივია (სტანდარტული); როცა ლექსად გვაწვდის, მაშინ „ხმასაც გვიკარნახებს“ წასაკითხად; ამას ემსახურება „მუხრანული“ ვარიანტი სასვენი ნიშნებისა...

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

ბრუნების ტიპებისა და ფუძის ფონეტიკურ სახეობათა ურთიერთმიმართებისათვის თანამედროვე ქართულში

ბრუნების ტიპების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ვ. თოფურია, ა. ონიანი, ა. არაბული...). ფუძის ფონეტიკური ტიპების (კუმშვადი, უკუმშველი, კვეცადი, უკვეცელი...) შესახებ კი ძირითადად ერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ბრუნების ტიპისა და ფუძის ფონეტიკური ტიპის ურთიერთმიმართების საკითხი თანამედროვე ქართულში.

თუ ბრუნების ტიპთა გამოყოფის კრიტერიუმად ბრუნვის ნიშანთა სისტემას (ბრუნების მოდელს) ავიღებთ, მაშინ ა. შანიძის სამ ტიპს კიდევ ორი უნდა დავუმატოთ. მართალია, ამ სახელებს მხოლოდ ერთ ბრუნვაში აქვთ განსხვავებული ნიშანი, მაგრამ კლასიფიკაციის პრინციპის მიხედვით ისინი უნდა გამოიყოს ცალკე ტიპებად, რომელთაც მიეკუთვნება:

1. კუმშვად-კვეცადი სახელები: მეორე ტიპის ბრუნებისაგან ისინი განსხვავდება ვითარებითი ბრუნვის ნიშნით: **-ად** (**-დ** სუფიქ-

სის ნაცვლად): ფანჯრ-ად, ქარხნ-ად, მოყვრ-ად... ბრუნების ამ ტიპის გამოყოფის შესახებ გვექნა მსჯელობა ჩვენს წინა მოხსენებაში.

2. **ბ-ბოლოხმოვნიანი უკვეცელი სახელები:** მესამე ტიპის ბრუნებისაგან ისინი განსხვავდება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით: **-თ** (**-თი** სუფიქსის ნაცვლად): ჩაი-თ, ტრამვაი-თ...

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენ თითოეული ტიპის შიგნით განვიხილავთ როგორც მხოლოებითი, ისე მრავლობითი რიცხვის ნიშანთა პარადიგმებს. როგორც ცნობილია, ა. შანიძე ებიან მრავლობითს მიაკუთვნებს პირველი ტიპის ბრუნებას. ჩვენი აზრით, თითოეული ტიპის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იქნეს ორივე რიცხვის პარადიგმა.

	I ტიპი		II ტიპი		III ტიპი		IV ტიპი		V ტიპი	
	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	-ო	-ებ-ო	-	-ებ-ო	-	-ებ-ო	-	-ებ-ო	-	-ებ-ო
მოთ.	-მა	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა	-მ	-ებ-მა
მიც.	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს	-ს	-ებ-ს
ნათ.	-ის	-ებ-ის	-ის	-ებ-ის	-ს	-ებ-ის	-ის	-ებ-ის	-ს	-ებ-ის
მოქ.	-ით	-ებ-ით	-ით	-ებ-ით	-თი	-ებ-ით	-ით	-ებ-ით	-თ	-ებ-ით
ვით.	-ად	-ებ-ად	-დ	-ებ-ად	-დ	-ებ-ად	-ად	-ებ-ად	-დ	-ებ-ად
წოდ.	-ო	-ებ-ო	-ვ/-ო	-ებ-ო	-ვ/-ო	-ებ-ო	-ვ/-ო	-ებ-ო	-ვ	-ებ-ო

რაც შეეხება ფუძეთა ფონეტიკურ ტიპებს, მათი აღწერის დროსაც ვითვალისწინებთ მონაცემებს როგორც მხოლოებითი, ისე მრავლობითი რიცხვისთვის.

როგორც ცნობილია, ბოლოხმოვნიან ფუძეებში ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ჯგუფი: უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი. კვეცის პოზიცია ორგვარია: 1. მხოლოდითი რიცხვის ორი ბრუნვა: ნათესაობითი და მოქმედებითი და 2. ებიანი მრავლობითი. ცნობილია აგრეთვე, რომ კვეცადი ფუძეები თავის მხრივ სამგვარია იმის მიხედვით, თუ რომელ პოზიციაში იკვეცებიან ისინი:

1. ფუძეები, რომლებიც იკვეცება როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში: დედა: დედ-ის, დედ-ებ-ი

2. ფუძეები, რომლებიც იკვეცება მარტო მხოლოდითში: სარკე: სარკ-ის, სარკე-ებ-ი

3. ფუძეები, რომლებიც იკვეცება მარტო მრავლობითში: გოგონა: გოგონა-ს, გოგონ-ებ-ი

ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანი სხვაობაა და მსჯელობა გადავიღებთ, თუ კვეცის ამ სამ სახეობას შესაბამისი ტერმინებით აღვნიშნავთ. კერძოდ:

1. კვეცადი ორსავე რიცხვში: **დედა**
2. კვეცადი მხოლოდ ერთში: **სარკე**
3. კვეცადი მრავლობითში: **გოგონა**.

რაც შეეხება თანხმოდანფუძიან სახელებს, ცნობილია, რომ კუმშვა ხდება ორსავე რიცხვში: მხოლოდ ერთი რიცხვის სამ ბრუნვასა (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) და ებიან მრავლობითში. კუმშვის პოზიციის მიხედვით აქ ფუძეთა ოთხი სახეობა გამოიყოფა:

1. კუმშვადი ორსავე რიცხვში: **სოფელ**
2. ნაწილობრივ კუმშვადი ორსავე რიცხვში: **წიორ**
3. კუმშვადი მხოლოდ ერთში: **სასმელ**
4. კუმშვადი მრავლობითში: **არჩევან**

ბრუნების ტიპები და ფონეტიკური სახეობები ამგვარად მიემართება ერთმანეთს:

I ტიპი: თანხმოდანფუძიანები: უკუმშველი, კუმშვადი ორსავე რიცხვში, ნაწილობრივ კუმშვადი ორსავე რიცხვში, კუმშვადი მხოლოდ ერთში, კუმშვადი მრავლობითში

II ტიპი: ხმოდანფუძიანები: კვეცადი, კვეცადი მხოლოდ ერთში

III ტიპი: ხმოდანფუძიანები: უკვეცელი, კვეცადი მრავლობითში

IV ტიპი: ხმოდანფუძიანები: კუმშვად-კვეცადი

V ტიპი: ხმოდანფუძიანები: უკვეცელი (ბ-ბოლოხმოდანფუძიანი)

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

კვლავ სახელისა და გვარის ინვერსიული რიგისათვის თანამედროვე ქართულში

ინვერსიული რიგით სახელი და გვარი (ჯერ გვარი და შემდეგ სახელი) თანამედროვე ქართულში ძირითადად დასტურდება ანბან-

ნურ სიებსა თუ სხვადასხვა სახის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, აგრეთვე – სპეციფიკურ კონტექსტებში გაბმული მეტყველებისას, უფრო ხშირად – დოკუმენტთა ენაში: „**თავართქილაძე დავითი** მოემზადოს საპასუხოდ“; „**გელოვანმა გიორგიმ** წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი მასალა“; „**გზირიშვილ ნინოს** გადაეცეს პირველი ხარისხის დიპლომი“ და სხვ.

ნორმის მიხედვით ბრუნვის ნიშნები დაერთვის ორივეს – გვარსაც და სახელსაც (მხოლოდ – სახ. და წოდ. ბრუნვებში სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით):

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან-ს	გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან-ის	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ით	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან-ად	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ [ნორმები 1970: 134].

მოცილე ფორმები (სახელისა და გვარის შებრუნებული წყობით გამოყენებისას) ყველაზე ხშირად დასტურდება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ბოლოთანხმოვნიან გვარებთან, მაგ., „შეამოწმეს **შატერაშვილი** (// **შატერაშვილ ვახტანგის** მიერ მომზადებული მასალა“. თუ გვარსაც დავურთავთ ნათ. ბრუნვის ნიშანს, სახელი განკერძოვდება და მძიმით გამოეყოფა წინადადების წევრებს: „შეამოწმეს **შატერაშვილის, ვახტანგის**, მიერ მომზადებული მასალა“. ანალოგიური ვითარება გვექნება მოქმ. ბრუნვაშიც: „**დადიანით, ქეთევანით**, მთელი სპორტსკოლა ამაყობს“.

თანამედროვე ქართულში ბოლოთანხმოვნიანი გვარის (სახელთან ერთად) ინვერსიული წყობით ბრუნებისას რეალურად ორი პარადიგმა დაჩნდება:

ა) ერთ შემთხვევაში ადამიანის გვარი იბრუნვის ისე, როგორც „ბატონი“ და „ქალბატონი“ საკუთარ სახელთან ერთად (იმ განსხვავებით, რომ ინვერსიული რიგით სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში, შდრ.: სახ. ბატონ-ი გურამ-ი და ორბელიან-ი გრიგოლ, მოთხრ. ბატონ-მა გურამ-მა და ორბელიან-მა გრიგოლ-მა, მიც. ბა-

ტონ გურამ-ს და ორბელიან გრიგოლ-ს, ნათ. ბატონ-ი გურამ-ის და ორბელიან-ი გრიგოლ-ის, მოქმ. ბატონ-ი გურამ-ით და ორბელიან-ი გრიგოლ-ით, ვით. ბატონ გურამ-ად და ორბელიან გრიგოლ-ად, წოდ. ბატონ-ო გურამ და ორბელიან-ო გრიგოლ...);

ბ) სხვა შემთხვევაში გვარი იბრუნვის ისე, როგორც ხელობა-წოდებისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი (სახ. ორბელიან-ი გრიგოლ-(ი), მოთხრ. ორბელიან-მა გრიგოლ-მა, მიც. ორბელიან გრიგოლ-ს, ნათ. ორბელიან გრიგოლ-ის, მოქმ. ორბელიან გრიგოლ-ით, ვით. ორბელიან გრიგოლ-ად, წოდ. ორბელიან-ო გრიგოლ). აღნიშნული ტიპი ნაკლებად დასტურდება.

როცა გვარი ხმოვანფუძიანია, ის (თანამედროვე ქართულში) ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი – იბრუნვის მხოლოდ სახელი:

სახ.	ჭავჭავაძე	ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია

რაც შეეხება ბოლოთანხმოვნის საკუთარი სახელის ბრუნვის ნიშანს სახელობითში, ვფიქრობთ, ის (სახ. ბრუნვის ნიშანი) პარადიგმაშიც უნდა აისახოს:

სახ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა	გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან	გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი	გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან	გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო	გრიგოლ

სწორედ ეს სახეობა მიგვაჩნია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმად მისაღებ ვარიანტად.

ვფიქრობთ, არც სიების შედგენისას არის მიზანშეწონილი საკუთარი სახელის ფუძის სახით წარმოდგენა. შეცდომის თავიდან ასაცილებლად (რომ არ ვთქვათ და ვწეროთ: მოთხრ. ლევანიმ, ვახტანგიმ, ზვიადიმ..., წოდ. ლევანი! ვახტანგი! ზვიადი!...) საკმარისი უნდა იყოს მართლწერის წესების ცოდნა.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

-გან/-დან თანდებულიან სახელთა მართლწერის საკითხები (სამეცნიერო ენაში)

თანამედროვე ქართულში მწვავედ დგას -გან/-დან თანდებულიან სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები.

ცნობილია, რომ **-გან** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითა და მოქმედებით. **-გან** თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე **მეგობრისგან**... შექარს **ჭარხლისგან** ამზადებენ...), ხოლო -გან თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს, შესაბამისად, მოგვიგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (**ქალაქიდან** გამოვიდა... **დილიდან** მზე ანათებს...).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხშირია **-გან და -დან** (//-**იდან**) თანდებულთა აღრევის შემთხვევები – **-გან** თანდებულის ნაცვლად **-იდან** არის გამოყენებული: „საღმონელა უმეტესად ფრინველისა და მათი კვერცხიდან მომზადებულ საკვებში ხვდება“ (უნდა იყოს: **კვერცხისგან**), „**გიორგიდან** რომ წამოვედი, ძლიერ დავმწუხრდი“ (უნდა იყოს: **გიორგისგან**), **-იდან** თანდებულის ნაცვლად -გან არის გამოყენებული: „**ზღვისგან** სახლამდე მანძილი უფრო და უფრო გრძელდება“ (უნდა იყოს: **ზღვიდან**), „**უნივერსიტეტისგან** მალაზიამდე გზა საოცრად გრძელი მეჩვენა“ (უნდა იყოს: **უნივერსიტეტიდან**)...

განსაკუთრებით ხშირად დასტურდება **-გან** და **-დან** თანდე-

ბულთა აღრევის შემთხვევები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

-**გან** თანდებულის ნაცვლად ხშირად უმართებულოდ გვხვდება -**დან** თანდებული შემდეგ კონტექსტებში: „არტისტ-**ფუ-ძიდან** ნაწარმოებია შემდეგი ფორმები: ზედსართავი სახელი (არტისტული), განყენებული (აბსტრაქტული) არსებითი სახელი (არტისტულობა)...“ (უნდა იყოს: **ფუძისგან**), „ბრალ- და მსჯავრ-**ფუძე-ზიდან** ნაწარმოები კომპოზიციები (ისევე როგორც ბრალი და მსჯავრი): ბრალდება – ბრალდადება, მსჯავრდება – მსჯავრდადება... – ერთ ტერმინოლოგიურ (სამართლებრივ) კონტექსტში განიხილება“ (უნდა იყოს: **ფუძეებისგან**), „ეს ორი ზედსართავი – კომპოზიციური და კომპოზიტური – ფორმოზივად ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა სახელიდან მომდინარეობენ“ (უნდა იყოს: **სახელისგან**), „ინგლისური პროფესიის სახელი ranger მომდინარეობს პოლისემიური **ზმნიდან** to range (გამწკრივება, დაჯგუფება, მოწესრიგება)“ (უნდა იყოს: **ზმნისგან**).

„-**გან** თანდებულის ნათესაობითში დაისმის სახელი, რომელიც რაიმესგან **წარმოქმნა-მიღება-მომდინარეობას** გამოხატავს. ამ ტიპის შესიტყვებებს ძირითადად მიიღება (მიიღო, მიღება), იწარმოება, წარმოიშობა, **წარმოიქმნება** ზმნები ქმნის“ (ვ. კალანდაძე) (ასევე სახელზმნები), რაც დაადასტურა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში მოპოვებულმა მასალამ. მაგ.: „უმეტესად, ერთი **ფუძისგან** უქონლობის სახელი იწარმოება მხოლოდ ერთ-ერთი კონფიქსით: უ-ქუდო“, „ძირითადად განხილულია სახელთა **ფუძისაგან წარმოქმნილი** სახელები, ნაზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები“, „ტყაპუნის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი მოსაზრება: ფუძედრეკადი **ზმნებისაგან** ნაზმნარი სახელების წარმოებისას ფუძისეული ე ხმოვანი შეიძლება ა ხმოვნით შეიცვალოს“, „მასალებში, რომლებშიც ეს ფორმებია, ქართველ მთარგმნელს წინ ჰქონდა ბერძნულ ტექსტში **ზმნისგან ნაწარმოები** მიმდებარა“... „ქართულში ნასესხებია ზედსართავები – კომპოზიციური და კომპოზიტური, რომლებიც სხვადასხვა **სახელისგანაა ნაწარმოები**“, „ამკარაა აღ- ვარიანტისგან მომდინარეობს ა- და არა პირიქით“...

აღნიშნული ტიპის შემთხვევები მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული.

სტანდარტიზაცია

გასული საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს **სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის** (ისო) შექმნით მსოფლიო სტანდარტიზაციის ახალ ეტაპზე გადავიდა. მართალია, მანამდეც არსებობდა სხვადასხვა ორგანიზაცია, რომლებიც სტანდარტებზე მუშაობდა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ უფრო საყოველთაო და ხელმისაწვდომი გახადა სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ ისოში თითოეულ სტანდარტზე შესაბამისი სფეროს კომიტეტი მუშაობს, მათგან ერთ-ერთია 1947 წელს დაარსებული ენისა და **ტერმინოლოგიის** კომიტეტი (ISO/TC 37).

ამჟამად ტერმინოლოგიური განყოფილების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ქართული ტერმინთბანკის შექმნა წარმოადგენს. ამის შესახებ ინფორმაცია აქვს ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციასაც. ასოციაციის პრეზიდენტმა, ჰენრიკ ნილსონმა, სხვადასხვა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, გამოუგზავნა კითხვარი, რომელშიც ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელ სტანდარტს ეყრდნობა ეროვნული ტერმინთბანკი. ქართული ტერმინთბანკის ინტერნეტში გამოქვეყნებისას, ცხადია, ის, უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მონაწილეობით 1999 წელს მომზადდა და გამოიცა ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სამი სტანდარტი:

1) ისო 704:87 – **ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები**

2) ისო 1087:90 – **ტერმინოლოგია ლექსიკონი**

3) ისო 860:96 – **ტერმინოლოგიური საქმიანობა – ცნებათა და**

ტერმინთა ჰარმონიზაცია

მას შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა ამავე სტანდარტების განახლებული ვერსიები. ქართულად კი, სამწუხაროდ, მას შემდეგ ახალი არაფერი მომზადებულა.

საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის მხარდაჭერით ითარგმნა ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების განახლებული ვერსიები,

იგეგმება ასევე ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული სხვა სტანდარტების თარგმნაც. საყურადღებოა ისიც, რომ საგანგებო სტანდარტებია შექმნილი ტერმინთაზებისთვის (ისო 23185:2009, ისო 30042:2019, ისო 12620:2019). აღნიშნული სტანდარტები საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ გამოითხოვა ისოსგან. საქართველო („საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ – GEOSTM) ისოს წევრი გახდა 2005 წელს და სარგებლობს წევრ-კორესპონდენტის სტატუსით.

სტანდარტიზაციის დამკვიდრება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მეცნიერებაში და საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო გამოცდილებას ავუწყოთ ფეხი. მოხსენებაში დაწვრილებით განვიხილავთ ჩვენ მიერ უკვე თარგმნილ ისოს სტანდარტებს და ვისაუბრებთ ეროვნული ტერმინთბანკების აგების პრინციპებზე.

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა მ ე

პოზიციური ზმნების ფუნქციონირების თავისებურებები ქართულში

სივრცული მიმართებების ენობრივ რეალიზაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც ცალკეული ენების შესწავლის, ისე ტიპოლოგიური კვლევების თვალსაზრისით. ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს მდებარეობის ზმნები, რომლებსაც პოზიციურ ზმნებსაც უწოდებენ.

დღეისათვის გაზიარებულია მოსაზრება ამ ზმნათა ანთროპოცენტრული ბუნების შესახებ. მათი ამოსავალი მნიშვნელობაა ადამიანის სამი პოზიციის აღნიშვნა – ვერტიკალურის (დგას), ჰორიზონტალურისა (წევს) და შუალედურის (ზის).

ამ ზმნებისათვის დამახასიათებელია ფუნქციონირების არეალის გაფართოვება და სხვა სულიერ თუ უსულო ობიექტთა არსებობისა და მდებარეობის აღსანიშნავად გამოყენება. ქართული, ისევე როგორც გერმანული, ჰოლანდიური, რუსული და მისთ., მიეკუთ-

ვნება ენებს, რომლებიც ობიექტის მდებარეობის აღსანიშნავად, ე. წ. ლოკატიურ კონსტრუქციაში, როგორც წესი, პოზიციურ ზმნებს იყენებს.

ქართული, როგორც მრავალსაუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენა, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ენაში მომხდარ ცვლილებებს, რაც წერილობით ძეგლებში არის დადასტურებული. ასევე ძალზე საგულისხმოა ის ტენდენციები, რომლებიც ქართული ენის დიალექტებში ჩანს ამ ზმნათა ფუნქციონირების არეალის გაფართოვების თვალსაზრისით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს გარეთ არსებულ დიალექტთა ვითარება.

პოზიციური ზმნები დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს ყველა ქართველურ ენაში, თუმცა დასტურდება საგულისხმო სხვაობებიც.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

აბრუ (ეტიმოლოგია)

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **აბრუ** განმარტებულია შემდეგნაირად:

აბრუ (აბრუსი) სახელი, პატივი, ავტორიტეტი. «უფალი სუდია» თავის ღირსებისა და აბრუს განსადიდებლად, აი, კიდეც რას იტყვის ხოლმე (**ვაჟა**). ხალხში აბრუს გამლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? (**ილია**). ◊ **აბრუს 'არ' 'გა'იტებს** არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ იტებს, არ ეპუება. დარეჯანი კიდეც მხნეობს, აბრუს არ იტებს (**ვ. ბარნ.**). აღარცთუ თალალა გაიტებდა აბრუსა, ცხვირს აღარ იზამდა ქვაცხისაკენა (**ო. ჩხ.**). ლამაზად გაჭაღარავებული ქალბატონი ლიზიკო აბრუს არ იტებდა (**ვ. ლორთქ.**). ◊ **აბრუს გატება** სახელის შერცხვენა, ავტორიტეტის დაცემა. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი (= სპარსეთისა და ოსმალეთის) აბრუს გატება და თითქმის დაქვეითება დასავლეთსა და მცირე აზიაში ერთი იყო (**ილია**).

აბრუგაზვიადებულ-ი (აბრუგაზვიადებულისა) განდიდებულნი, ამპარტავანი. ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკვიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით (**ილია**).

აბრუგატეხილ-ი (აბრუგატეხილისა) სახელშერცხვენილი. – რა მოხდა, ბიჭო? – ჰკითხა ქალბატონმა ოლინკამ აბრუგატეხილ ბიძამ-ვილს (**კ. ლორთქ.**).

აბრუგატეხილობა (აბრუგატეხილობისა) სახელის შერცხვენა. არავინ იცის, რით გათავდა ეს აბრუგატეხილობა ახლანდელი სამინისტროსი (**ილია**).

აბრუიან-ი (აბრუიანისა) ინდ. აბრუს მქონე, – სახელიანი, პატივდებული. რაკი ყოველივე ეს ევროპაშია..., ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს (**ილია**).

ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ჯაბრა „თმა“ სიტყვისაგან, ჯა „თავს“ აღნიშნავს, აბრა „თმა“, „ბეწვია“. აფხაზურში ეს სიტყვა მხოლოდ ცხენის „ფაფარს“ აღნიშნავს. ზოგადად „ბეწვის“, „თმის“ აღნიშვნელმა სიტყვამ, სავარაუდოდ, გაიფართოვა მოხმარების არეალი და კავკასიური მენტალობით ულვაშის, ნამუსის მნიშვნელობაც იტვირთა.

სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კავკასიურ სამყაროში ფიცის, ნამუსის, პირობის მისაცემად ულვაშს იყენებდნენ და ეს ითვლებოდა უმაღლეს გარანტიად ფიცის, პირობის გაუტეხაობისა.

აქედან მნიშვნელობანი: **აბრუიან**-ი აბრუს მქონე, – სახელიანი, პატივდებული და **აბრუგატეხილ**-ი სახელშერცხვენილი.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„ნაყროვანების“ ენობრივი ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში

სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდაბალ გრძნობებს განეკუთვნება. ქართულ დის-

კურსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მაკროკონცეპტ „სიხარბის“ აღსაწერად მნიშვნელოვანია მის შედგენილობაში მიკროკონცეპტ „ნაყროვანების“ გამოყოფა, რადგან საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც, ეს დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, „ნაყროვანების“ აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულთა რაოდენობას ზრდის.

განსახილველი მიკროკონცეპტის ნომინაციური ველის სახელად შეგვეძლო „გაუმადლობა“ აგვეჩინოთ, თუმცა ქართული ლინგვოკულტურისათვის აღნიშნული ცნების საკვანძო სიტყვა-რებრეზენტანტად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, რელიგიური დისკურსის ძველქართული ერთეული „ნაყროვანება“ უფრო შესაფერისად მივიჩნიეთ. ზედმეტი საკვების მიღების მავნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც „ნაყროვანების“ გამოხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა.

ქართულში მრავლად გვხვდება ხარბად ჭამის აღმნიშვნელი როგორც ზმნები, ასევე სახელები. ამჯერად იმ მსაზღვრელ სახელებს დავახასიათებთ, რომლებიც გაუმადლობაზე მიუთითებენ (ნაყროვანი, გემოთმოყვარე, გემოდიდი, ხარბი, მსუნაგი, წუწვი, მსრიტი / ფსრიტი, ტუსლანგა, ციმფა / ციმფია, სურბუტა, ჭამპურა, ჭამაკუთილა, ლოქაფი, ქოქო, ღოკი, ჩოფრა, ჯამისძირა, ჯამიტვლეპია, კუჭია, ღორდათვა ...). მოხსენებაში ცალ-ცალკე იქნება განხილული შემდეგი ჯგუფები:

- **უარყოფითი მიმღეობები** (უმადლარი, გაუმადლარი, უძღები, უძღომელი, უძღომი, შეუჯერებელი);
- **სახელები, რომელთა ყალიბია – ნათესაობითი ბრუნვის ნიშან-მოკვეცილი ფორმა + მიმღეობის თავისებურ ტიპად მიჩნეული *ჭამია / *ყლაპია** (ხარიჭამია, ზაქიჭამია, ბატკნიჭამია, ცხვარიჭამია; კანჭიყლაპია, ბელტიყლაპია);
- **სომატური ლექსიკის შემცველი ერთეულები** (კუჭია, მუცელა, ორმუცელა, ავმუცელა, მუცელდმერთა, მუცელყელჩამოკიდებული, ფაშვგამობერილი, ღიპგადმოგდებული);
- **ზოონიმები და მათი მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვები** (ღორი, ღორმუცელა, ღორდათვა, აღორებული; სვავი,

სვავმუცელა (იდიომ. ყაჯირის მუცელი; ყაჯირი – სვავის მსგავსი ფრინველი); მგელი, გამგელებული).

საანალიზო ლექსემათა უმრავლესობა გასუბსტანტივებულია, საზღვრულის პირდაპირი ნომინაციის ნაცვლად გამოიყენება და ხშირად მეტსახელადაც არის ქცეული. ტოპონიმ „ცხვარიჭამიას“ წარმოშობის შესახებ ერთ-ერთი თქმულების თანახმად, სოფელი გაუშენებია მწყემსს, რომელსაც **„ჯერზე წლის თოხლი თურმე არა ჰკმაოდა“** და სწორედ ამიტომ მისთვის **„ცხვარიჭამია მაუქვივნებიათ“**. ასეთივე მეტსახელისაგან უნდა იყოს წარმოქმნილი გვარები **ხარიჭამიაშვილი** და **ხარჭამაძე**. ამავე ყალიბისაა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, მეტსახელი **ზაქიჭამია**, ზღაპრის გმირის სახელი **ხელტიყლაპია**. აღნიშნული სტრუქტურული მოდელი ენაში განსხვავებული სემანტიკური კომპონენტის გამოსაკვეთადაც გამოიყენება – არა გადაძლომის, არამედ მოყვარულობის, მაგალითად, **ყველიჭამია**, **დოჭამია**, **ნიგრიჭამია**; მუდმივი ნიშან-თვისების, ქცევითი მახასიათებლის გამომხატველია იგი ზოონიმიებში: **კოკრიჭამია**, **ქერქიჭამია**, **ტყავიჭამია**, **ლეშიჭამია**, **ზაყაყიჭამია**. ამ და სხვა საკითხებს უფრო ვრცლად მოხსენებაში განვიხილავთ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ უ ს ე ც ე კ ი

პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიის როლი ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში*

აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის და შესაბამისი სამშვიდობო პროცესის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ფონდის დოქტორანტთა ხელშეწყობის პროგრამის ჩარჩოში (საგრანტო ხელშეკრულება №PHDF-18-1147). სადისერტაციო ნაშრომის თემა – „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ინტერდისციპლინური შედარებითი ანალიზი ინოვაციური 4D-RAV-17 მეთოდით“.

კონფლიქტის მოუგვარებლობის პრობლემა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორზე, როგორცაა კონფლიქტის კომპლექსური სისტემის დეფორმირებული აღქმა. კვლევამ დაადასტურა, რომ ეს დეფორმაცია გამოწვეულია საზოგადოებაში რედუქციონისტული აზროვნების დომინანციით, რომელიც იწვევს რთული (კომპლექსური) სისტემის დაყვანას ცალკეულ რეალურ ფრაგმენტამდე, ან საერთოდ ახალ ფსევდო ფრაგმენტამდე. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ გარდა სპონტანური ფაქტორებისა, არსებობს მიზანმიმართული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც, ინერგება აზროვნების ისეთი მოდელები, რაც ხელოვნურად აფერხებს ან ართულებს პრობლემების სწორი დიაგნოსტიკის და მათი მოგვარების პროცესს.

დესტრუქციული აზროვნების დომინანციისათვის გამოყენებულია „პარაზიტი“ ტერმინების ინტერვენცია კონფლიქტების აღწერის და ანალიზის ენის სტრუქტურაში. უპირველეს ყოვლისა, ამის მსხვერპლნი ხდებიან მეცნიერები, ექსპერტები, ჟურნალისტები, დიპლომატები, პოლიტიკოსები და საბოლოო ჯამში მთელი საზოგადოება.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ საქართველოში არც ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია ამ პრობლემაზე არ აგებს პასუხს. არ ტარდება ამ ტერმინების მონიტორინგი და ექსპერტიზა, არაა შეფასებული ის საფრთხეები რაც ამ პრობლემას მოჰყვება და ეს პრობლემა არაა აღიარებული როგორც შესაძლო საფრთხე.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან ეს პრობლემა არ აისახება სათანადოდ „საფრთხეების დოკუმენტში“ და არანაირად არ აისახება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც. უფრო მეტიც არც ერთ არსებულ დოკუმენტს არ გაუვლია პოლიტიკური ფსიქოლინგვისტური ექსპერტიზა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არსებული უშიშროების პოლიტიკა წლების განმავლობაში თვითონ ქმნიდა რისკებს, გამოწვევებს და საფრთხეებს.

სამეცნიერო ჯგუფებს შორის არ არსებობს ეფექტური კომუნიკაცია. ამ მიზნით, კვლევითი პროექტის ჩარჩოში შეიქმნა პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიის დაარსების საპროექტო წინადადება. ინიციატივის თანახმად, ამ ლაბორატორიაში უნდა გაწევრიანდნენ ექსპერტები სხვადასხვა ჯგუფებიდან და შექმნან ეფექტური ინტერდისციპლინური ქსელი, რომელიც შეძლებს ამ სა-

ფრთხეების დადგენას, კატეგორიზაციას, ფიქსაციას, რეაგირების მექანიზმების შემუშავებასა და იმპლემენტაციას. პრობლემის კომპლექსური ანალიზისთვის აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის ჩატარება. აუდიტის და დამოუკიდებელი ექსპერტიზების საფუძველზე პირველივე ეტაპზე უნდა შეიქმნას საქართველოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების სტრატეგია.

კვლევითი პროექტის ჩარჩოში ჩვენ ასევე ვისახავთ მიზნად, სამშვიდობო პროცესის ეფექტურობის ზრდისათვის სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტების ინტეგრაციას და აქტივიზაციას. სახელდობრ, ენათმეცნიერების როლი სამშვიდობო პროცესებში დღემდე განსაზღვრული არ ყოფილა.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

კვლავ სადაურობის სახელთა წარმოებისათვის

ქართულში სადაურობის გამომხატველი სიტყვების საწარმოებლად -ელ და -ურ (> -ულ) სუფიქსები დაერთვის გეოგრაფიული სახელების სრულ (თუ სახელი უკუმშველი ან უკვეცელია) ან უსრულ (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია) ფუძეებს. მაგ., **ბორჯომ-ი – ბორჯომ-ელ-ი, ბორჯომ-ულ-ი; გონიო – გონიო-ელ-ი, გონიო-ურ-ი; ვაზისუბან-ი – ვაზისუბნ-ელ-ი, ვაზისუბნ-ურ-ი; მცხეთა – მცხეთ-ელ-ი, მცხეთ-ურ-ი.** ეს წესი ზოგადია, თუმცა გვაქვს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სადაურობას / წარმომავლობას გამოხატავენ მაწარმოებელთა გარეშეც. ასეთებია: **თურქი, რუსი, ბერძენი, ფრანგი, აფხაზი, ოსი, სომეხი, ტაჯიკი** და სხვ. ჩამოთვლილი ერთეულები სემანტიკურად წარმომავლობასთან ერთად ეთნიკურ კუთვნილებასაც აღნიშნავენ.

თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია – ზოგი ამ სიტყვისათვის წარმომავლობის გამოსახატავად აფიქსიანი ვარიანტების გამოყენებისა. ამ შემთხვევაში მთქმელი, თითქოს, ცდილობს ერთმანეთისგან გამიჯნოს ეთნიკურობა და წარმომავლობა. ამგვარ-

რად გვაქვს ერთი მხრივ: **თურქი, რუსი, ფრანგი, აფხაზი, ოსი, სომეხი** და სხვ., მეორე მხრივ: **თურქეთელი, რუსეთელი, საფრანგეთელი, აფხაზეთელი, ოსეთელი, სომხეთელი...** იხ. მაგალითები:¹

და, აი, ცოცხალი, ნამდვილი **თურქეთელი** ქართველი მოვიდა ჰოტელ „კენედისთან“.

თურქეთელი ბერძნები დადიოდნენ სოფელ-სოფელ.

ის 1915 წელს დაიბადა კანადის ქალაქ ლაშენში, **რუსეთელი** ებრაელი იმიგრანტების ოჯახში.

ქალთა შორის კი 78 კილოგრამზე ზევით კატეგორიაში პირველია **რუსეთელი** ქართველი – თეა დონღუზაშვილი.

რაც მართალია, მართალია, ომის დროს თბილისში ბევრი **აფხაზეთელი** ახალგაზრდა იმყოფებოდა, უმთავრესად სტუდენტები.

ყველამ კარგად ვიცით, აფხაზეთის ომში როგორ გააფთრებით გვებრძოდნენ **აფხაზეთელი** სომხები.

მეო, **საფრანგეთელი** ქართველი ვარ, აქ, გაეროში ვმუშაობო.

წარმოშობით სალადინი **სომხეთელი** ქურთი იყო.

ტაჯიკელი სამხედროები ურჩევენ **რუს** კოლეგებს არ დამაბონ ვითარება.

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით განხილული იქნება ამგვარი ტენდენციის მართებულობა-არამართებულობის სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართ. მარტივის თავდაპირველი სემანტიკისათვის

ქართ. **-რთ-/-რტ-** ძირ-ფუძის შემცველთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში შემოკრებილია მსგავსი სემანტიკური მოტივით გაერთიანებული არაერთი საგულისხმო სიტყვა: **ერთი, ერთობა, მრთელი, რთული, მართი, გამართვა, მართალი, მართვა, მარტო, მარტოო-**

¹ მაგალითები დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) და მათში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

ბა, მარტოდენ, მარტოკა, მარტოხელა, სიმარტოვე, მარტივი, სიმარტივე, განმარტება და სხვა მრავალი.

მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართ. **მარტივი** – თავისი წარმოებითაც (მა-რტ-ივ < *მა-(ა)რთ-ივ) და პოლისემანტიკითაც („ერთი“, „დაუშლელი, დაუნაწევრებელი“, „არართული“, „მთელი, მთლიანი“, „მარტო“, „უბრალო“, „წრფელი“, „გულუბრყვილო“, „ცალკე“, „ცარიელი“ და სხვ.).

ამასთან ერთად, მოიპოვება ამავე ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის გარეთ არსებული მსგავსი სემანტიკური ფუნქციის მქონე რამდენიმე ლექსემა, მაგ.: ძვ.ქართ. **მრგუალი** „მთლიანი“, ძვ.ქართ. **ყოვლად, ყოვლითურთ** „სრულიად, სრულად, მთლიანად, საერთოდ“; ძვ. ქართ. **ცოცხლად, ცოცხლებით** „მთლიანად; გონივრულად; მრთელად, საღად“, ძვ. ქართ. **სიცოცხლე** „სიმრთელე; ხსნა“; ძვ. ქართ. **სრული, სრულიად, სისრულით** „მთლიანი/ად, მთელი/მთლად; მთელი სიძლიერით, სავსებით გამოვლენილი; სრულქმნილი/ად, სრულყოფილი/ად; უაღრესი/ად, უნაკლო/დ, უდანაკლისო/დ, უზადო/დ, აბსოლუტური/ად, შეუზღუდავი/ად“ და სხვ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ცნება მარტივის ქართულენოვანი არჩევანის მოტივირების ცდა, რაც ეფუძნება როგორც საკუთრივ ქართ. მარტივის ლექსიკურ-სემანტიკური განვითარების ამსახველ მონაცემებს, ისე მისი თავდაპირველი სემანტიკისა და ქრისტიანული შინაარსის დამადასტურებელ ფაქტორებს წმიდა წერილიდან და ქრისტიანული დოგმატიკიდან (წმიდა პავლე მოციქული, წმიდა იოანე დამასკელი და სხვ.).

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

საუბრის გამომხატველი იდიომებისა და შესიტყვებებისათვის მეგრულში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

მეგრულში გამოიყოფა იდიომები და შესიტყვებები, რომლებიც საუბრის შინაარსს გადმოსცემენ. საკვლევად გამოყენებულია:

გამოცემული ლექსიკონები, ტექსტები, სამეგრლოში ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალა.

იდიომებსა და შესიტყვებებში საუბრის შინაარსის გადმოსაცემად აქტიურია მეგრული **რაგადი** „ლაპარაკი“, **ჩიება** „იდ“, თქულა „იდ“, **შური** „სული“, **ხონარი** „ხმა“, **ნოყორი** „ხახა“, **პიჯი** „ენა“, **ნინა** „ენა“ და სხვა ერთეულები. გადმოიცემა საუბრის სხვადასვა ნიუანსი. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

აგამაგა რაგადი „გაურკვეველი ლაპარაკი“ (ზედმიწ. „აგერ-ეგერ ლაპარაკი“) შდრ. ქართ. ორგემაგე (ა. არაბ.).

არხი-მარხიში ჩიება „რაცის (რაც-რაცის) ლაპარაკი“.

პიჯიში გორღიმინაფა „უადგილო საუბარი“. ზედმიწევნით „პირის დაღება“.

ნინათ ოკიშიშ ხვატაფა „ბევრი ლაპარაკის სიყვარული, ყბე-ლობა“ (ზედმიწ. „ენით ზურგის ფხანა (ქავილი)“).

შურიში ეკოღალა „რამის თქმა, ხმის ამოღება“. ზედმიწევნით „სულის ამოღება“.

მასალა საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. იდიომებსა და ფრაზებში მონაწილეობის მხრივ, აქტიურია სახელი და ზმნა. ძირითადად, გვხვდება ორ, სამ, ოთხკომპონენტიანი იდიომები და შესიტყვებები.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

რამდენიმე პოეტური ექსპერიმენტის ენობრივი თავისებურებანი

1. ჩვენთვის საინტერესო პოეტურ ექსპერიმენტთა საფუძველს წარმოადგენს დიალექტის გამოყენება პოეზიის ენაში, სახელდობრ: ხევსურულის გამოყენება ბალათერ არაბულის პოეზიაში, ჯავახურის გამოყენება გიორგი ბერიძის პოეზიაში.

2. პოეტური ექსპერიმენტები (წარმატებულიცა და წარუმატებელიც) მხატვრული ენის ლინგვისტური ანალიზისთვის ყოველ-

თვის და ყოველმხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის და ახალ ენობრივ სივრცეებს გვაცნობს. თანამედროვე ქართული პოეზიის ენისა და დიალექტთა ურთიერთმიმართების საკითხი ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა. საკითხის აუქტუალურობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის ენაში დიალექტის მოძალების ტენდენციას ეხებოდა 2019 წელს ბათუმში რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე წარმოდგენილ მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

3. ჩვენთვის საინტერესო პოეტურ ექსპერიმენტთა ავტორებისათვის დიალექტი გამოხატავს არამხოლოდ დიალექტურ ერთეულს კონკრეტულად, არამედ სოციუმის ისტორიული მეხსიერების, მისი რეგიონული მასშტაბურობის აპელირებას, რაც თავისთავად, საერთო ეროვნული ღირებულებების შემადგენელიცაა (დიალექტური ლექსიკა, ონომასტიკური ლექსიკა, ისტორიული ტოპონიმია, ისტორიული ფაქტები...).

4. წინამდებარე მოხსენებაში განხილულია ამ წარმატებულ პოეტურ ექსპერიმენტთა მხატვრულ-ლინგვისტური თავისებურებანი, კერძოდ, პოეტური ენის ნატურალისტური მარკერები და ენობრივი ინვენტარი.

5. საკვლევი მასალის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკნათ, რომ დიალექტის გამოყენება შემოქმედთა თვითმიზანი არ არის. თანამედროვე პოეტები დიალექტს გარკვეული ჩანაფიქრის განსახორციელებლად მიმართავენ, კერძოდ, მათთვის საჭირო გარემოსა და კოლორიტის გასაცოცხლებლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველთვის იოლი არ არის შემოქმედთა ამ არჩევანის მიზეზების ზუსტი მიგნება. ამავე დროს, მძაფრი ესთეტიკური ეფექტის მიუხედავად, ზოგჯერ, შესაძლოა ამ ექსპერიმენტთა შედეგი არ იყოს ავთენტური, რამდენადაც შექმნილი სამყარო უმეტესწილად ხელოვნურია.

6. მოხსენებაში წარმოდგენილი კვლევის სპექტრი მიმართულია ორი უმთავრესი საკითხისადმი: ა) რას ემსახურება დიალექტის გააქტიურება პოეტთა შემოქმედებაში, უკეთ: რა მიზნითა და ფუნქციით იყენებს ესა თუ ის ავტორი დიალექტს და ბ) პოეტთა ჩანაფიქრის – პოეტური ექსპერიმენტის – განხორციელების შედეგად რით და როგორ გამშვენდა მხატვრული ენა.

7. ჩვენი დაკვირვებით, წარმატებულ პოეტურ ექსპერიმენტებში დიალექტის გამოყენების დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია პოეტის ნიჭიერებასა და პოეტურ ტექნიკაზე. როცა ენობრივი არჩევანი განპირობებულია სათქმელით და ეს მაღალოსტატურად კეთდება, უდავოა, რომ ლექსის წარმატებას სწორედ მისი ენობრივი მხარე განაპირობებს. ცხადია, ამგვარ წარმატებულ პოეტურ ექსპერიმენტებში დიალექტის გააქტიურებას პოეტური ორიგინალურობის თვითდამკვიდრების ფუნქციაც აქვს.

8. წარმატებულ პოეტურ ექსპერიმენტთა ენობრივი თავისებურებების ანალიზის საფუძველზე მივიჩნევთ: დიალექტის მოძალების ტენდენციას უთუოდ განაპირობებს ის გარემოებაც, რომ პოეტ-შემოქმედთა მიერ ესა თუ ის დიალექტური მოვლენა თუ ოდენობა, და საბოლოო ჯამში, თვით დიალექტი გაგებულია, როგორც „ქართული სემანტიკური ფაქტი“ (ბ. ფოჩხუა), საპირისპიროდ იმ აგრესიული ტენდენციისა, რომელიც ვლინდება ნაირგვარ უცხო სიტყვათა მოძალებით თანამედროვე სასაუბრო და სალიტერატურო ქართულში.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ს.-ქართვ. *არ- „ყოფნა“ ზმნის ბასკურ-კავკასიური იზოგლოსებისათვის

ქართველურ ძირ-ფუძეთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ადვილად გამოიყოფა არქაული **არ-** ზმნა, რომელიც ს.-ქართვ. ***არ-** „არის“ ზმნის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა (არნ. ჩიქობავა), შდრ. ქართ. **არ-**ი-ს, ზან. **ორ-**ე(ნ) „არის“, სვან. **პრ-**ი/**არ-**ი „არის, იმყოფება“; ადვილი შესაძლებელია იგივე ძირი დავინახოთ სვანურ მ-ი-**რ-**ი „მაქვს“, ჯ-ი-**რ-**ი „გაქვს“... ფორმებში გამოწვევებულ **-რ-** ცალმორფემიან ზმნაშიც.

იბერიული კავკასიის ჩრდილო-დასავლური ფორმებიდან საინტერესო ხდება ადიღური **არ-გ** „კი, ჰო“ ნაწილაკთან მიმართების პრობლემა. სწორედ ეს უკანასკნელი იძლევა ს.-სინდ. ***არ-** „კი, ჰო“

არქეტიპის აღდგენის შესაძლებლობას. სემანტიკური კორელაცია არის ~ კი/კო კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს (მ. ჩუხუა).

ვფიქრობთ, ეს სიტყვა (**არ-**) მხოლოდ ქართველურ-ადიღურთ მონაცემი არ უნდა იყოს. მის პალეოკავკასიურ წარმომავლობას მხარს უჭერს ნახური ინფორმაციაც, სადაც ვადასტურებთ ასევე **არ-** ზმნურ ძირს, შდრ. ვაინახური **-არ-**, რომელიც გამონაწევრდება *მყოფის* მნიშვნელობით: ვ-**არ** „მყოფი“ ~ ბ-**არ**-*ამ* „მყოფები“...

საყურადღებოა ბასკური -ar- ზმნური ძირიც, რომელსაც *ყოფ-ნა/ქონის* მნიშვნელობები ახასიათებს. მოხსენებაში მოხმობილი იქნება დამატებითი არგუმენტები, რომლებიც სწორედ ბასკურ-ნახურთ მასალის გამოწვლილვითი შესწავლის შედეგად გამოვლინდა.

სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ისმის ქართ. **არ-ა** : ზან. (მეგრ.) **ორ-ე** „არა“ (მ. ჩუხუა) ფუძეთა ქართველურ **არ-** ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობის თაობაზე (ნ. მაჭავარიანი).

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ჩიტებისა და მათი ხმიანობის ამსახველი ლექსიკა რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის მხატვრულ პროზაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ჩვენი წყალ-ჭალის ბინადარი ფრინველების, მათი ხმიანობისა და იმიტაციის ამსახველი ლექსიკა. მაგ.: **აღკუნი, არწივი, ბერკუტი, ბელურა, ბიჭოგოგია, ბოლოცეცხლა, ბუ, ბულბული, ბულბულა, გედი, გეზელქორი, გუგული, დრუნჩა, თევდორე ჩიტები, ზარნაშო, იხვი, კაკაბი, კაკკაჭი, კვირიონი, კოდალა, კრულა, მათიკო, მეთოვლია, მერცხალი, მიკიოტი, მოლალური, მტრედი, მწყერი, მწყერჩიტა, ნამგალა, ოფოფი, სგავი, სკვინჩა, სტვენია, ტოროლა, ტყის ქათამი, ქორი, ღაღლა, ღაჟო, ღობემძვრალა, ყანჩა, ყვავი, ყორანი, შაშვი, შურთხი, ჩიტბატონა, ჩხართვი, ჩხიკვი, წანწყარა, წერო, წივწივა, წითელკაკები, წინფეფე (წიმფეფე), წიწკანა, ჭივჭავი, ჭილყავი, ჭინჭრაქა, ხოხობი, ჯაფარა, ჯიხველი.**

ჩიტატონები შემხმარ ნარებში დარიკრიკებდნენ, ჯიხველები წნორის ხმელ როკებზე ისხდნენ დარაჯებივით („კეთილი მიწა“, თბ., 1984).

მიჩხაოდნენ, მიწრიპინებდნენ **ქედნები, კაკბები, კოდალები** („შორი თეთრი მწვერვალი“ თბ., 1976).

მართალია, ეს ნამდვილი **სვაგები** არიან, მურდალი, მყრალი სვაგები, მაგრამ არწივები... **არწივის** დაჭერა როგორ იქნება, ბალო! ეგენი, რასაც თქვენ **არწივებს** ეძახით, თავგიჭამია **მერებიაო** („ლამაზი ცრემლები“, თბ., 2005).

ორღობებში ბუდობენ **შაშვებიც, ჩხართვებიც, ბოლოცეცხლებიც** („მთვარის ასული“, თბ., 1987).

რცხილის ბუჩქებზე მოდიან **შაშვები, ჩხიკვები** (გაწყდა მაგათი ჯიში და გასაგისი), **მწყერჩიტები, ჭინჭრაქები**, ღამდამობით კი, სხვა ფრინველებს რომ სძინავთ, თვალების ბრიალით დაფარფაშობენ **ბუები** და **ზარნაშოები** („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976).

რ. ინანიშვილი ფრინველთა დასახელებისას მიმართავს სინონიმურ წყვილებსაც:

ზოგი ადარებდა მტაცებელ ფრინველსაც – **ბერკუტს, შავ ქორს** („პატარა ბიჭი გოლოგოთაზე“, თბ., 1989).

შუა დღისათვის კი მოფრინდნენ ჩვენი ეზო-ბაღებისთვის უცხო დაბუა ჩიტები – **სტვენები**, რომლებსაც ჩვენთან ზოგი **დრუნჩებს** ეძახის, ზოგიც **მეთოვლიე ჩიტებს** („კეთილი მიწა“, თბ., 1984).

ხანდახან, ჩვენს გასახარად, დაგვენახვებოდნენ კიდევ ის **შაშვები** და **ჩხართვები** დაგვენახვებოდნენ, აგრეთვე **სკვინჩები, ბოლოცეცხლები** და **წივწივები** – ჩვენ რომ **წინფეფებს** ვეძახით („თებრო“, თბ., 1983).

ფრინველების ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა: **კიკვივი, კივილი, კრიახი, კრუტუნი, კურკური, ჟიკჟიკი, ჟღურტული, რუკრუკი, სტვენა, ყრანტალი, ჩხავილი, წრიპინი, ჭახჭახი, ჭიკჭიკი...**

მხიარულად **აჟღურტულდებიან** გუნებაგამაღლებული **ბელურებიც** („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976)

ერთი დიდი ქაცვიდან შეშფოთებით **დაგვჩხავლა** კაჭკაჭმა („შველი ზამთარში“, 1986).

მოფრინავდნენ გამჭვირვალე ჰაერში ღამაზი **კვირიონები**, დასტრიალებდნენ სოფელს და **კუთავდნენ** ნებიერად („თებრო“, თბ., 1983).

გამოიფრენენ ზამთარში **კოდალები კივივით** („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989).

წყნარად **კრუტუნებენ კრუალები** („ალერსი შიშინაობის დროს“, თბ., 1986).

მერცხალი იჯდა და **ჟიკვიკებდა** („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989).

აჰყვა **მიკიოტიც, მოჰკიოდა** ხელმარცხნივ, შეფერდობულ ტყე-ტყე („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989).

ფრინველთა ხმინაობის იმიტაცია: **სკვინჩა ჩიტები...** ნაღვლიანად იძახიან: – **სკვინჩ! სკვინჩ!** („მეგობრისადმი მინაწერი წერილუბიდან“, თბ., 1958).

კივ-კივ-კივ! – გამოფრინდა იქიდან **კოდალა** („წვეთები ფოთლებზე“, თბ., 1962).

მოფრინდება **ბოლოცეცხლა** შინდზე, – **წრიიბ! წრიიბ!** – თახ-თახებს ფრთების განზე გაწევით („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989).

მურა ჯაჭვით იყო დაბმული. სალაფავს რომ გაუკეთებდნენ, მიუფრინდებოდა **მათიკო**, დაუჯდებოდა წინ და, – **ჩხი!** და **ჩხი!** –**აბ-რაზებდა** მურას („შველი ზამთარში“, 1986).

ფრი-ფრი-ფრი! – გაძვრა პაწაწინა ჩიტუნია **ბულბულა**, ჰო, ჰო, ბულბული კი არა, ბულბულა, გადაფრინდა სხვა ბუჩქზე და იქედან ყელყელაობს („კეთილი მიწა“, თბ., 1984).

დაგვკრიახებდნენ ცაში ასული ტოროლები, მოუხნავ ადგილებში, ძეძვებზე ჭყრიალებდნენ მწყერჩიტები, დროგამოშვებით იძახდნენ თვით **მწყერბიც – ქვიტ-კირო! ქვიტ-კირო! ლ! ლ! ლ!** („შველი ზამთარში“, თბ., 1986).

ჩიკირ ნარზედ **ჩიტბატონები** ისხდნენ, გულმოდგინედ უკენ-კავდნენ რაღაცებს და თან: **ჩიკირ! ჩიკირ! ჩიკირ!** („საღამო ხანის ჩანაწერები“, თბ., 1973).

აძრახდება ცოტა ხნით ჩაყუჩებული **ღაღღა**, – **ღააკ! ღააკ! ღააკ!** („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, თბ., 1974).

ორი ბუ... თავიანთ უბედობაზე ბუზღუნებდნენ: – **შუ-ბუ! შუ-ბუ! ბუ! ბუ! ბუ!** – რაღა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო („შველი ზამთარში“, თბ., 1986).

აღსანიშნავია, რომ ჩიტების სახელები მწერლის პროზის ხატოვანების ერთ-ერთი წყაროა. მაგ.: **გუგულებივით** ხალხი, ცოლი და ერთი ბიჭი (ტომი I, 1953-1968).

მიმინოსავით წაგვერდებული მიაჭენებდა ძალიან დავმძიმდი, კაცო მაინც ძერასავით მოექცეოდა კაკალს კენწეროზე („ალერსი შიშიანობის დროს“, თბ., 1986).

დედაბერი... იჯდა აბუზული **ყორანივით** („ცისფერი გორგალი“, თბ., 1968)

თეთრულვაშა მოხუცი, მოკუზული, ძვალ-ტყავი, **წანწყარასავით** თავაწული წევს თინა გულადმა და აფუყული **ყვაგებივით** შემოსხდომიან აქეთ-იქიდან დედა და დებილაჰ! („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, თბ., 1974).

ქალს უნდა უფრთხილდე, შვილო, **ბოლოქანქალასავით** მოსიარულე ქალს („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989).

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ ა ი ა ლ ო მ ი ა,
რ ა მ ა ზ ქ უ რ დ ა ძ ე

უქონლობა-უარყოფის სემანტიკის მქონე დერივაციული სახელები ქართველურ ენებში

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა და იგი ყველა ენაში დასტურდება. უარყოფა-უქონლობის შინაარსის გამოხატვის ფორმები და მათი განვითარების დინამიკა ზოგჯერ განსხვავდება არა მარტო არამონათესავე, არამედ მონათესავე ენებშიც. ქართველურ ენებში ამ სემანტიკის მქონე სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით მსგავსებაც შეინიშნება და განსხვავებაც.

უქონლობა-უარყოფის სემანტიკის სახელების წარმომქმნელია ქართულში უ- პრეფიქსი, რომელიც დამოუკიდებლად დასტურდება სულ რამდენიმე სახელში (*უ-რიცხვ-ი*, *უ-სრულ-ი*, *უ-შიშ-ი*), დანარჩენ შემთხვევებში კი **-ო**, **-ურ** / **-ულ** სუფიქსებთან ერთად გამოიყენე-

ბა (**უ-ქუდ-ო, უ-ლამაზ-ო, უ-გემ-ურ-ი...**). **უ**- მაწარმოებელი გვხვდება სხვადასხვა ზმნურ ფუძესთანაც (**უ-რჩ-ი, უ-ქმ-ი, უ-ძინარ-ი...**).

ქართული ენის გარდა, **უ**- პრეფიქსი უარყოფა-უქონლობის მაჩვენებელია სხვა ქართველურ ენებშიც – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. იგი ქართველურ ენებში საერთო წარმომავლობისა უნდა იყოს.

მეგრულში გვაქვს კონფიქსები: **უ-ე (უ-კუდეღ-ე), უ-ო (უ-ჩილ-ო), უ-ურ (უ-კუჩხ-ურ-ი), უ-ოღ (უ-დიდ-ოღ-ი), უ-ელა (უ-სკვამ-ელა)**; ლაზურში გვხვდება პრეფიქსი **უ- (უ-მკ-ი)**, კონფიქსები: **უ-ე (უ-ხელ-ე), უ-ურ (უ-მინჯ-ურ-ი), უ-უ (უ-ბღ-უ)**. იშვიათად სვანურშიც დასტურდება **უ**- პრეფიქსი (**უ-ჯმშ**) და კონფიქსები: **უ-უ (უ-სახ-უ), უ-ა (უ-ნათ-ა)**.

სვანურში უქონლობის სახელების წარმოქმნა პრეფიქსისა და კონფიქსის საშუალებით ნაკლებად გვხვდება, ხშირად გამოიყენება **-ურ** სუფიქსი (**ფაყუ-ურ**). მხოლოდ სუფიქსით გამოხატული უარყოფა სვანურის თავისებურებაა, თუმცა შესაძლოა, ეს მაწარმოებელიც საერთო ქართველური წარმოშობისა იყოს.

უარყოფა ქართულ ენაში გადმოიცემა ასევე **არა/არ**-ნაწილაკიანი რთული სახელებით (ნაწილაკი ამ შემთხვევაში მორფემოიდად გვევლინება): **არა-კაცი, არ-გაგონილი...**

არა/არ ნაწილაკებით წარმოქმნილი უარყოფითი სახელები ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება: **არა-ჟამი, არა-კეთილი, არა-განსწავლული...** დროთა განმავლობაში ამ ტიპის სახელები გახშირდა და ახალ ქართულში ფართოდ გამოიყენება: ა) გვხვდება **უ-ო** კონფიქსიანი უქონლობის სახელების პარალელურად და გვიჩვენებს მათთან სემანტიკურ განსხვავებას (**უ-კაც-ო – არაკაცი, უ-ღირსი – არა-ღირსი...**); ბ) აქტიურად გამოიყენება ანტონიმური ლექსემების წარმოქმნაში (**ერთი – არა-ერთი, გულწრფელი – არა-გულწრფელი, ქონა – არ-ქონა...**); გ) გამოიყენება სამეცნიერო ტერმინოლოგიაში (**არა-დრეკადი, არა-თავსებადი...**).

არა/არ ნაწილაკიანი სახელების გააქტიურებას ქართულ სალიტერატურო ენაში დიდად შეუწყო ხელი მეცნიერების განვითარებამ და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობამ. თავდაპირველად XI-XII საუკუნეებში ბევრი მეცნიერული ტერმინი ბერძნულის გავლენით შეიქმნა, მათ შორის – **არა** ნაწილაკიანი სახე-

ლებიც, რომლებიც ტიპოლოგიურად ძალიან უახლოვდება ბერძნულ **α**-პრეფიქსიან სახელებს.

შემდგომში მათ გააქტიურებაში გარკვეული როლი შეასრულა რუსულ ენასთან მჭიდრო კონტაქტმაც. მე-20 საუკუნეში, 90-იან წლებამდე, სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ტერნოლოგიური ერთეულები, ქართულ ენაზე ძირითადად რუსულიდან ითარგმნებოდა. ქართული **არა/არ** ნაწილაკის სემანტიკური ფარდია რუსული **не**- თავსართი: *არა-ამხანაგური – не-товарищеский, არა-ბუნებრივი – не-естественны* და სხვ.

მეგრულში, ლაზურსა და სვანურში ქართულ არა/არ ნაწილაკს შეესატყვისება **ვარ/ვა, მნდ/მადე** ნაწილაკები, რომლებიც ზმნურ ფუძეებთან გვხვდება. ამ გზით მიღებული მიმღებები რაოდენობრივად ძალზე მცირეა და გამოიყენება: ა) წყევლის ფორმულებში (*მეგრ. ვა-რდილი „არ-გასაზრდელი“; სვან. მნდ-ლეკდე „არ-მოსასვლელი“*); ბ) უარყოფითი კონტაქტის მეტსახელებში (*მეგრ. ვა-ხაჩქელა „არ-მთოხნელი“; ვა-სქილია „კვერცხის არ-მღებელი“; ლაზ. ვა-მთინი „არა-მართალი“*).

ამრიგად, ქართულში ფართოდ გავრცელებული უქონლობა-უარყოფის სახელები წარმოქმნილია როგორც კონფიქსების, ისე არა/არ ნაწილაკის დართვით. ამ უკანასკნელის გააქტიურებას ხელი შეუწყო ქართულის სამწერლობო-სამეცნიერო კონტაქტებმა სხვა ენებთან. კონფიქსით წარმოქმნილი უარყოფითი სემანტიკის სახელები გვხვდება სხვა ქართველურ ენებშიც, თუმცა მეგრულსა, ლაზურსა და სვანურში ასეთი წარმოება უფრო მიმღობათა უკუთქმით ფორმებშია გავრცელებული, ხოლო არა/არ-ნაწილაკიანი უარყოფის სახელების მოხმარების არეალი შეზღუდულია.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

ქვევრის ეტიმოლოგიისათვის

ქვევრი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია, საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი ძვ.

წელთაღრიცხვის VI-V ათასწლეულებს განეკუთვნება. ქართული ქვევრი მსოფლიოში უძველესი, 8000 წლიანი ისტორიის მქონე უნიკალური საღვინე ჭურჭელია და აღსანიშნავია, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკომ არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ქვევ-რი** არის: „ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი, კვერცხის მოყვანილობის, ჩვეულებრივ მიწაშია...“ (ქეგლ VII, 1962).

ვფიქრობთ, თვითონ სახელწოდებასა და განმარტებაშივე ნათლად გამოსჭვივის ამ სიტყვის ეტიმოლოგია: ის მის ადგილმდებარეობას – „ქვემდებარეობას“ უნდა აღნიშნავდეს [რაც „ქუე მდებარეობს“, ქვეურია, – ქვემოურია“]: ქვევრი < ქუე-ურ-ი (მისი საპირისპირო უნდა იყოს *ზე-ურ-ი, რომელიც, ვფიქრობთ, შემორჩენილია ზე-ზეურ- ლექსემაში. -**ურ** სუფიქსიანი წარმოების ნიმუშები ქართულში უამრავია: შდრ.: აქა-ურ-ი, იქა-ურ-ი, სადა-ური, ზემო-ურ-ი, ქვემო-ურ-ი, და ა.შ.; ასევე, **ქუე** ზმნისსართიდან ნაწარმოებია: ქუე-შე > ქვეშ-ქვეშა, ქვეგამხედვარე; ქუეწარმავალი; ქუ-ენ-ა (შდრ.: საპირისპირო ზე-ნა); ქუე-მთ > ქვეითი; ქუესკნელი (საპირისპირო ზესკნელი, შუასკნელი) და უამრავი სხვა.

საგულისხმოა ქვევრთან დაკავშირებული სიტყვა-თქმანი და თვით ქვევრის ნაწილთა სახელებიც: ქვევრის თავი, პირი, ყელი, ბეჭი, მუცელი, ქვევრის ფილი ანუ ძირი, ფილის გარეთა მხარე ანუ პოქოქიკი, „ქვევრის ქუდი“ ანუ „მაჭრის ქუდი“ და სხვ. ...

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია ქვევრსამარხიც, რაც ასევე ქართული კულტურის, ისტორიის შემადგენელი ნაწილია: „ქვევრსამარხი ქვევრი, რომელსაც უძველეს ხანაში იყენებდნენ მიცვალებულთა დასამარხად...“ (ქეგლ VII, 1962). ცნობილია, რომ იტორიულად ქვევრებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ, თავდაპირველად ის საკრალური დანიშნულების იქნებოდა, თუმცა ის საღვინე ჭურჭელი იყო და არის დღესაც.

რატომ არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქართული ხორბლის უძველესი სახეობის აღმნიშვნელი სახელი მახა?

მახა (*Triticum macha*) ქართული ენდემური ხორბლის უძველესი სახეობის სახელია. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად **მახა** (<* **მაჯა**) აღნიშნავდა ადამიანის მიერ მოწეულ ხორბლეულ კულტურას, ზოგადად და არა მხოლოდ მის ერთ-ერთ, თუნდაც ყველაზე ძველ სახეობას.

სახელ **მახას** ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება გვაქვს ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“. ასახსნელია, რატომ არ ჩანს უძველესი სახელი **მახა** (**მაჯა**) უფრო ადრეულ ქართულ წერილობით ძეგლებში.

ერთ-ერთი მიზეზი ივანე ჯავახიშვილმა ასე განმარტა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბადების ქართულ თარგმანში მხოლოდ იმ ხორბლეულისა და მარცვლეულის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება იყოს, რომელიც ებრაელთა ამ მრავალსაუკუნოვანი და მრავალწიგნიანი კრებულის ტექსტში იხსენიება... ცხადია, არცერთი ისეთი მცენარის სახელი, რომელიც პალესტინაში არ ხარობდა, ამ ძეგლში არ შეიძლება იყოს. ასეთი ტერმინები, რასაკვირველია, ორიგინალურ ძეგლებში უნდა ვეძიოთ... უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინდელ საქართველოში არსებული ხორბლეულის მთლიანი სურათი არა გვაქვს“.

მაგრამ სახელი **მახა** არ ჩანს არა მხოლოდ თარგმნილ, არამედ ძველ ორიგინალურ ძეგლებშიც. ვფიქრობთ, ეს შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული: 1. სახელი **ასლი** ძველად ხორბლეულთა გარკვეული ჯგუფის **ზოგადი** თვისებების გამომხატველი ტერმინი უნდა ყოფილიყო (ი.ჯავახიშვილი, ნ. ბრეგაძე), ეს **ზოგადი** თვისება კი გახლავთ ე. წ. **კილიანობა**. ასლი ერთმარცვლიანებისა (*Triticum monoccum*) და ორმარცვლიანების (*Triticum dicocum*) **ზოგადი** ტერმინი იყო და არის დღესაც. კილიანთა ჯგუფში კი, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ხორბალი **მახა**; 2. ხელშესახებია კილიან სახეობათა ურთიერთმსგავსება, რაც ლექსიკაშიც აისახება. ამ თვალსაზრი-

სით საგულისხმოა მახას საბასეული განმარტება: „**მახა** (ბალ.) ყანაა, ასლს ჰგავს“. **მახასა** და **ასლს** შორის ეს ხაზგასმული მსგავსება დასტურდება სხვა ლექსიკოგრაფთა განმარტებებშიც (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, რ. ერისთავი). 3. კილიან სახეობათა ურთიერთ-მსგავსება ხშირად განაპირობებს მათს გაიგივებას. შენიშნულია, რომ დღესაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ასხვავებს ამ ჯგუფის სახეობებს, მაგ., **ძველკოლხური ასლი** ხორბალ **მახას** ერთ-ერთი სახეობის მსგავსია, ის გვხდება **მახას** ნათესებში და დღესაც ხალხში „**ჩელტა მახას**“ სახელითაა ცნობილი.

ამგვარად, ძველ ქართულ ტექსტებში ყველა **კილიანი** ხორბალი მოიხსენიებოდა, როგორც **ასლი**, ხოლო უძველესი სახელი **მახა** – ლოკალურ, დიალექტურ სახელად აღიქმებოდა.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან

დადგენილია, რომ:

1. ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დაბოლოებული არსებითი სახელებისგან ზედსართავთა წარმოებისას **-იურ** და **-ურ** სუფიქსთაგან მხოლოდ **-ურ** უნდა იქნეს გამოყენებული: **პრაგმატ-ულ-ი** და არა **პრაგმატ-ი-ულ-ი**, **სომატ-ურ-ი** და არა **სომატ-ი-ურ-ი**, **პნემატ-ურ-ი** და არა **პნემატ-ი-ურ-ი**...;
2. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მა-დაბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული **ატ-ელემენტ-იანი** ფუძისაგან: **პრაგმატ-ულ-ი**, **სომატ-ურ-ი**;
3. როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული: **დრამა** – **დრამუ-ლი**, **პრიზმა** – **პრიზმული**... გამონაკლისის სახით წარმოების და-

საყრდენად შესაძლებელია მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია. ასეთ შემთხვევაში ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია: **დრამა – დრამატული / დრამული.**

ამასთან, თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია უკანასკნელი ტიპის პარალელურ ფორმათა შორის ნიუანსობრივი შინაარსობრივი სხვაობის დამყარების, ან მათი გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში გადანაწილებისა.

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართულში ზემოჩამოთვლილ პარალელურ ფორმათა გამიჯვნის მიზნით სისტემური და სტატისტიკური სახის კვლევა უნდა განხორციელდეს და შემოთავაზებულ იქნეს ახალი სანორმო რეკომენდაციები.

მ ა რ ი ნ ა ჯ ღ ა რ კ ა ვ ა

დუთხური მეტყველების ზოგი თავისებურების შესახებ

თურქეთში ლაზურ ენაზე ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრი წიგნი, ჟურნალი, სასკოლო სახელმძღვანელო და სხვა სახის ბეჭდური პროდუქცია გამოიცა. მათ შორისაა 2012 წელს სტამბოლში დაბეჭდილი ლაზი ავტორ-შემგროვებლის მეჯით ჭაკირუსტას წიგნი „**დუთხური პალიკარი**“ („დუთხელი ვაჟკაცი“). მასში შესულია ავტორის მოგონებები პირადი ცხოვრებიდან, ლექსები და მის მიერ ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებიც დუთხური თქმის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს.

დუთხე (/დუთხუ/დუთხა) ათინას მაღალმთიანი ლამაზი სოფელია. მასში მეტად გულლია, კეთილი, სტუმართმოყვარე, ხალისიანი, ბავშვივით მიმნდობი, ოდნავ მიამიტი ხალხი ცხოვრობს, რაც ძველთაგანვე მრავალი ხუმრობის, ანეკდოტის საბაზი გამხდარა. დუთხურ თქმას ლაზურის ათინურ კილოკავში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მეჯით ჭაკირუსტას მიერ ჩაწერილი ტექსტები იმ-

ლევა დუთხურის საკმაოდ საინტერესო მასალას. იკვეთება როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი.

ფონეტიკური პროცესებიდან ხშირია:

პალატალიზაცია – **ჟ > გ**: **ჯელაპწი** < **გელაბწყი** „ჩამოვხსენი“, **ჯერმა** < **გერმა** „ტყე“...

დეზაფრიკატიზაცია – **ზ < ძ**: **აზირუ** < **აძირუ** „ნახა/მოეჩვენა“, **ნუზუტუ** < **ნუძუტუ** „ედო“... **დ < ზ**: **დიცხირი** < **ზისხირი** „სისხლი“...

აფრიკატიზაცია – **ჯ < ქ**: **ჯილე** < **ქილე** „ზევით“...

თანხმოვანთა გაორმაგება – **ზზ < ზ**: **მავიზზერი** < **მავიზერი**...

თანხმოვანთა გამკვეთრება – **ჭ < ჩ**: **ქომომჭუ** < **ქომომჩუ** „მომცა“, **ეჭიდოხუთ** < **ეჩიდოხუთ** „ოცდახუთი“... **კ < ქ**: **კოხვოწონუ** < **ქოხვოწონუ** „მიხვდა“... (იქვე ვხვდებით უკუპროცესს – თანხმოვანთა გაფშვინიერებას – **ქ < კ**: **გობქუცხი** < **გობკუცხი** „გავიღვიძე“)...

მორფონოლოგიური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხშირად **ჭ** გვხვდება **ვ**- პირის ნიშნის ალომორფად **ხთ/ხტ** ფუძის შემცველ ზმნურ ფორმებში: **გამაჭტი** < **გამაფტი** „გამოვიდი“, **ჯეჭტარე** < **ჯეფტარე** „ჩავალ“... (ეს მოვლენა თავის დროზე ლაზურის სხვა კილოკავებში შეამჩნია და გააანალიზა არნ. ჩიქობავამ).

დუთხურ თქმაში თვალში საცემია **ვ**-ს გაჩენა ზმნათა გარკვეულ ფორმებში (რაც ძალიან ჰგავს რედუქციას): **მვანზინუ** < **მ(ე)ანძინუ** „მოემატა“, **დვანჯირუ** < **დ(ა)ანჯირუ** „დაეძინა“, **დოღვობლამან** < **დოღობლამან** „ყრიან“... ამავე დროს გვხვდება ფორმა **ოფშათ** (< **ოფშვათ**) „დავლიოთ“...

მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით აღსანიშნავია:

1. ნივთიერებათა ჯგუფის სახელთა გამოყენება მრავლობითის ფორმით: **დინცხირეფე** „სისხლები“, **ოქროფე** „ოქროები“, **თიფეფე** „თივები“, **მჩვერეფე** „ფქვილები“...

2. გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა, როცა მსაზღვრელად არა მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელია: **მავიზერი შკიმი ელაბუმერი** „მაუზერი ჩემი ჩამოკიდებულით“,

3. მოულოდნელი ზმნური ფორმების მრავალფეროვნება განსაკუთრებულ მორფონოლოგიურ შესწავლას მოითხოვს.

4. მთლიანად მოშლილია ერგატიული და დატიური კონსტრუქციები, თუმცა სხვა ბრუნვათა ფორმების ნაცვლადაც სახელო-

ბითი გამოიყენება: ჯუმა შვიმითი საფანი დიკაჩუ „ჩემმა ძმამ კი სახნისი დაიჭირა“. ხოჯევე საფანი ქოჯებუდვითუ „ხარებს სახნისი დავადვით“. ჰიმ ნდლა დიდო მშხვაფა ოტუ „იმ დღეს ძალიან ცხლოდა“. ჯერმა გზა ქოჯებგუთი „ტყის გზას დავადექი“. დიდო მსკვა ოჭანდინამტუ „ძალიან ლამაზად უკრავდა“. მუთხაფე ტიკინა ქოდოლოკრეხუ ჟრალაცეხი კალათში ჩააწყო (ჩაკრიბა)“.

მეჯით ჭაკირუსტას დუთხურ ტექსტებში ისეთ ლექსიკურ ერთეულებს ან ფონეტიკურ ვარიანტებს ვაწყდებით, რომლებიც უკვე გამოცემულ ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ: ჭირჭილამტუ „ჭირილებდა“, მოსანთალუდოტუ „მიკანტალებდა“, მოდოდონი – ხის კოლოფი, მოთავსებული წისქვილის მბრუნავი ქვის ზევით, საიდანაც სიმინდი იყრება (იხ. მოდინი - მარი), მჩვერი „ნარჩენი ფქვილი, ნაგავი“, მჭეშუმტი „უთვალთვალეხი (ვმწყემსავდი)“ ...

ფრაზები: შური ჰჭირდუმტი „სული მიწუხდა“; ნოსიშა მეებოლი „ჭკუიდან გადავედი (აზრი გამეფანტა/გრძნობა დავკარგე)“; ჯარი ოშკომუ ქოჯოჩეს „საჭმლის ჭამა დაიწყეს (საჭმელი მისცეს)“; ოჭანდინუ ქოჯოჩუ „საქორწილო დაუკრა (საქორწილო მისცა)“ ...

მეჯით ჭაკირუსტას „დუთხური პალიკარი“ დუთხური თქმის ულევ საკვლევ მასალას შეიცავს.

**პროექტი „კოდორული მეტყველების ადგილი
სვანური ენის სისტემაში“**

(პროექტი FR-217848, 2016-2019 ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით)
პრეზენტაცია

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - დ ა დ ვ ა ნ ი,
რ უ ს უ დ ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

დალის (resp. კოდორის) ხეობის ანთროპოლოგია*

კოდორული მეტყველება საინტერესო სემანტიკა სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა; დალის ხეობის კვლევა ეთნოლინგვისტური, არქეოლოგიური, ისტორიული, ონომასტიკური ასპექტით, კოდორული სვანური მეტყველების შესწავლა ინტერფერენციული კუთხით იძლევა საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ინტერდისციპლინურ პერილში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ენათმეცნიერთა დიდი ინტერესისა, დალის ხეობის სვანურზე დაკვირვება, კოდორული ტექსტების შეკრება და გამოსაცემად მომზადება პირველად გახდა შესაძლებელი კოდორული ქრონიკების სახით. უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო წრეებში უკვე არსებობს შეფასებები: „კოდორული ქრონიკები“ მესხიერებისა და იმედის წიგნი... დალისხეობელთა ოდისეა, მატიაწე, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი (ჯ. კაშია); მრავალწახნაგოვანი წიგნი... ყოველწახნაგში ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული დატვირთვის მქონე (ნ. ანდრულაძე) ...მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც დავიწყებას

* პუბლიკაცია შესრულებულია შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონითურთ 2016–2019“ ფარგლებში; (პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ი. ჩანტლაძე).

გამოგლეჯს ხეობას დალისას, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ... (დ. თევზაძე).

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა თემა – თუ როგორ და რამდენად აისახა ქრონიკებში კოდორული სვანური მეტყველების სპეციფიკა და დალის ხეობის ონომასტიკონი - თეონიმია, ტოპონიმია, გვარ-სახელთა სისტემა, ზოონიმია, ბოტანიკონიმია, რამდენად შეიძლება კოდორული ქრონიკების – დალის ხეობის ანთროპოლოგიური პორტრეტად მიჩნევა.

ცნობილია, რომ უადრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – **ქლუხორის, მარუხის, ნაჭარვის**... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზრვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდოროლები დევნილის სტატუსით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში... ანთროპოლოგიური ასპექტით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს დანარჩენ ქართველებთან მიმართებით ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ დალეღს და დალეღებს (მგდაღ / დაღარ).

დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება, ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. არქეოლოგთა დასკვნით, ქრონოლოგია კოდორის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისა საკმაოდ ფართოა: აქ გვხვდება როგორც ძველი ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს და მონღოლო-დროის ნაშთები, რაც რეგიონის ადრეული ხანიდან დასახლების მაუწყებელია; იგულისხმება წებელდის კულტურა და პოსტწებელდური მატერიალური კულტურის ძეგლები (ჯაფარიძე, ტრაპაძე). ვარაუდობენ, რომ IV-VII სს. კოდორის ხეობა ქლუხორის უღელტეხილით იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის (ბონდარევი). დალის ხეობის ტო-

პონიმიის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ზოგადი სურათი ასეთია: სვანურია, ძირითადად, დალის ხეობის სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო სამოვრის/იალალის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები. აღსანიშნავია, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულია დალის ხეობის შემდეგი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელები: ფუსტა, ჩიხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლაგვანა, შიყერი/შეყერი, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი /ბოგერი...

კოდორულ ქრონიკებში ხეობის ისტორიულ და თანამედროვე გეოგრაფიულ სახელებთან, სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებთან (**დენარ**) ერთად, აისახა დალის ხეობის სალოცავები, ქრისტიანულ ძეგლები და ნაეკლესიარები: **ჯგერაგ შყერი** – X საუკუნის შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან; **აჯარა ჯგერაგ/ჯგერაგ სუიფი** – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; დალის ხეობაში კაზაკების მასიურად ცხოვრების ხანაში იქვე მდგარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სალოცავი; **ნალჯუამი** (სვან. ნალჯუამ „ნაეკლესიარი“, ლაჯუმი „ეკლესია“ შდრ. სვან. მაჯუამ „მადლობა“, ე. ი. ლაჯუმი/ლაჯუამ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... **ჩხალთა ჯგერაგ** – ჩხალთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მისიმიანთა მთავარი ისტორიული ციხის ჩიხარის/ჩიხარისის მიმდებარედ იყო განთავსებული. ნაშთები და ნაგრევები კლუხორის უღელტეხილის სიახლოვეს, საკენში, ჩხალთასა და ლათაში, რომელიც ადგილობრივთა ცნობიერებით ბაზილიკის ტიპის ნაეკლესიარები უნდა იყოს და წმინდა ადგილებადაა მიჩნეული.

დალის ხეობის სვანური მეტყველება ინტერფერენციულობით ხასიათდება, რაც მონუმენტური კოდორული ქრონიკების ყოველ აბზაცში იგრძნობა.

გეოგრაფიულ სახელთაგან ქრონიკებში ყველაზე ხშირად იხმარება კოდორის ხეობის სვანური სახელი – **დალია ტუბი** „დალის ხეობა“. აქვე შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით სვანურში იხმარება **ტუბი** და **ტყუფი**. უფრო ხშირად **ტუბი**, რაც სვანურში ასევე ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ ფუნქციურად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეტიმოლოგიურადაც, **დალია ტუბი** – დალის ხეობა, **ხოშა ტუბი** „დიდი ხევი“, **ლეჟა ტუბი** „ადმოსავლეთის ხევი“, **ლეჟა ტუბი** „დასავლეთის ხევი“. **ტყუფი**-ს კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. მართალია, **დალია ტუბი** და **დალია ტყუფი** ორივე ითქმის დალის (კოდორის) ხეობის მნიშვნელობით, მაგრამ თუკი შინაარსს ჩავუღრმავდებით, **ტყუფი** აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, **ტუბის** // **ტვიბის** კი სწორედ, ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა.

ანთროპოლოგიური პორტრეტის მახასიათებლები – არქეოლოგიური სპექტრი, ისტორიული და თანამედროვე გეოგრაფიული სახელები, თეონიმები, ბოტანიკური, რელიგიური დღესასწაულები (**დგნარ**), სალოცავები, ანთროპონიმია, ყოფა, სულიერი და მატერიალური კულტურა, მეტყველების ინტერფერენციულობა... დალის ხეობისა, შეიძლება ითქვას, რომ მეტნაკლებად სრულყოფილად აისახა „კოდორულ ქრონიკებში“.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

კვლავ კოდორული მეტყველების შესახებ*

კოდორის (resp. დალის) ხეობაში საუკუნე-ნახევრის წინ ზემო სვანეთიდან საცხოვრებლად გადასული ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოს წარმომადგენლები აღნიშნული ტერიტორიის ოკუპა-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“ (FR-217848) ფარგლებში.

ციამდე უმეტეს სოფლებში (ტიში, ჩხალთა, აჯარა, მარჯვენა გენწვიში, ქვაფჩარა, ყულუჩი, ბარუმბა...) ერთდროულად სახლობდნენ; ძირითადად, სწორედ მათს მეტყველებაში დასტურდება ერთი დიალექტის მიმსგავსება მეორის მიერ; **ინტერფერენციამ ადსტრატის** სახე მიიღო, რაც ნიშნავს ცოცხალ, აქტიურ პროცესს ორი ენის ან დიალექტის თავისუფალი ურთიერთმედწევადობის პირობებში, როცა მეტწილად იმარჯვებს უმრავლესობის მეტყველება უმცირესობის მეტყველებაზე, თუმცა ამ შემთხვევაში (კოდორელთა მეტყველებაში) გავლენა მიმართულების მიხედვით საურთიერთოა და არა ცალმხრივი. დიალექტთაშორისი და ქართულ-სვანური ინტერფერენცია დასტურდება როგორც ფონეტიკა-ფონოლოგიის თვალსაზრისით, ასევე მორფოლოგიისა და მორფოსინტაქსის მიმართულებით.

- კოდორელი ბალსზემოელებისთვის, ბალსქემოური დიალექტის გავლენით, ხმოვანთა სიგრძემ დაკარგა დისტინქტური ფუნქცია, რამაც გამოიწვია ომონიმია; მაგალითად, ისინი ლექსემებს „კაცი“ და „მაგრამ“ წარმოთქვამენ ერთნაირად: **მარე**, ბალსზემოური კი მათ მნიშვნელობებს სწორედ ხმოვნის სიგრძით ასხვავებს: **მარე** „კაცი“, **მარე** „მაგრამ“;
- კოდორის ხეობელი ბალსქემოური დიალექტის წარმომადგენლების მეტყველებაში მკვიდრდება ბალსზემოურისთვის დამახასიათებელ ორფუძიანი ბრუნება: **მარ-ემ-იშ** „კაცის“, **ჟედშიშ** < **ჟედ-ემ-იშ** „ძაღლის“ ... ნაცვლად **მარემ**, **ჟადემ** ფორმებისა, რომლებიც ემთხვევა ერგატივს („კაცმა, ძაღლმა“) და, ბალსქემოური დიალექტის მონაცემთა მსგავსად, მხოლოდ კონტექსტის ფარგლებში განირჩევა;
- ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც გულისხმობს ზმნის მრავლობითი რიცხვის I პირში მეორე პირის ჩართვას (ინკლუზივი) ან გამორიცხვას (ექსკლუზივი), ახალი ქართულისგან განსხვავებით, სვანურში შენარჩუნებულია და განსაკუთრებით ენგურის ხეობის სვანურში – დღემდე მკაცრად გამიჯნული; კოდორულ მეტყველებაში კი ეს კატეგორია რყევას განიცდის, რაც ინოვაციის იერს ატარებს და ფორმათა უნიფიკაციის პროცესს წააგავს;
- ქართული სალიტერატურო ენის გავლენას უნდა მიეწეროს სინტაქსის ნაწილში შენიშნული სპეციფიკა: ე. წ. „სხვათა სიტყვის“ პირდაპირი ნათქვამის კონსტრუქცია სვანურში, ქართულისგან

განსხვავებით, ყოველთვის მესამეპირისეულია („ნახევრად ირი-ბი“); კოდორელი სვანები კი (როგორც ისტორიულად ბალსზე-მოელები, ასევე ბალსქვემოელები) უმეტესად ქართულისებურ სისტემას იყენებენ, ანუ პირდაპირ ნათქვამში ზმნური ფორმა იმ პირის შესაბამისია, რომელი პირიც არის მთქმელი: პირველი, მეორე თუ მესამე.

ამრიგად, კოდორული მეტყველება მნიშვნელოვან განსხვავებებს ავლენს ენგურის ხეობის სვანურისგან, თუმცა არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა არ ატარებს სისტემურ ხასიათს ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაშიც კი; არ იკვეთება ისეთი მყარი კრიტერიუმები ამ მეტყველების ცალკე, მეხუთე, სრულფასოვან დიალექტად გამოყოფისთვის, როგორც ტრადიციული ოთხი სვანური დიალექტისთვის არსებობს. კოდორული მეტყველება შეიძლება მიგვეჩინა გარდამავალ დიალექტად, რომელიც დროთა განმავლობაში გახდებოდა უფრო მეტად სისტემური და შესაძლებელი იქნებოდა საუბარი კრიტერიუმებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პერსპექტივა დღევანდელი გადასახედიდან მეტად ბუნდოვანია: კოდორელი სვანები მას შემდეგ, რაც თავიანთი საცხოვრისი დაკარგეს, კომპაქტურად თითქმის აღარსად აღარ ცხოვრობენ. ვფიქრობთ, ენის განვითარების ამ ეტაპზე ისტორიულად ბალსზემოელ და ისტორიულად ბალსქვემოელ კოდორელთა მეტყველება ცალ-ცალკე შეიძლება შეფასდეს როგორც ინტერფერენცირებული კილოკავები ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტებისა

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

მორფონოლოგიური ინტერფერენცია ცალკეულ ლექსემათა შიგნით ან მათ ზღვარზე

(კოდორელ დევნილთა სვანური მეტყველების მიხედვით)

საუკუნუნახევრის წინ კოდორის ხეობაში ჩასახლებული სვანები უკვე ათ წელზე მეტია ასე ლოცულობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: **სემი მუშული ჭალიშ-ენგურიშ, კოდორიშ ი ცხენისწყალი ტუიბარისგა მელზიგაჲლ ხაღხ მეჰად ლემზერეჲ ლი!.. შტანს**

**ნაშუაან ნომინატი ათეხენა!.. აფხზეთი ლაშაალისგა ლეკან მა-
ხელაქარს ქრისდე ყორუე ხარხ მეკარ, ეჩებუნსდს თუიმი სარანგ
ახახდედხ, ზეთმუე ხაქჩხენდხ ი ზამზამუე ხაშუდედხ!** („სამი ბობოქა-
რი მდინარის – ენგურის, კოდორისა და ცხენისწყლის
ხეობებში მცხოვრები ხალხი მარად დალოცვილი
ყოფილიყოს!.. სვანეთს ნასვანეთარი არასდროს
დარქმეოდეს!.. აფხაზეთის ომში დახოცილ ვაჟკა-
ცებს ქრისტეს კარი ღია ჰქონოდეთ, სასუფეველში
თაფლის წყარო მოსდიოდეთ, ზეთი აწვიმდეთ და
ბამბა ათოვდეთ!“).

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ევროკავკასი-
ური უნივერსიტეტის რექტორის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევ-
ზაძის აზრით, „კოდორის ხეობა ნადირობის უმშვენიერესი ქალ-
ღმერთის – **დალის** საუფლოა, სადაც წლების მანძილზე ქედუხრე-
ლად იდგნენ განსაკუთრებული სვანები დამცირებული საქართვე-
ლოს სინდის-ნამუსის ბოლო მცველებად. კვლავაც მრავალი წელი
გაივლის ჩვენს ფუჰ ოცნებებთან ერთად უკვე თითქმის დავიწყებუ-
ლი ხეობის შესახებ, თუმცა მხოლოდ „კოდორული ქრონიკები“ შეი-
ნარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალო-
ება ჰქვია; როდესაც კოდორს მოწყვეტილი დალელები თანდათანო-
ბით გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს, მარტოოდენ „კოდორუ-
ლი ქრონიკები“ გვექნება ხელთ – ერთადერთი წიგნი, არაჩ-
ვეულებრივი ავტორების მიერ შექმნილი, რომე-
ლიც დავიწყებას უთუოდ გამოჰგლეჯს ხელიდან
იქაურ ტერიტორიას და თვალუწვდენელ მსოფ-
ლიოში მიმობნეულ დევნილ მოსახლეობას“.

აი, რას წერდა 2005 წელს პარიზის ქართულ-ევროპული ინ-
სტიტუტის დირექტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საპა-
ტიო წევრი, პროფესორი ჯანრი კაშია შუქრი მარგაიანისადმი მი-
ძღვნილ მემორიალურ წიგნში „დალელთა იმედი“: „აფხაზეთის
ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველო ღია ჰრილობებით
არის დაფარული. ისინი არ ხორცდება და, ალბათ, არც შეხორცდება,
რადგან ეს ჰრილობები არა მხოლოდ მარცხითაა გამოწვეული, არა-
მედ იმ ახალგაზრდა ვაჟკაცების დალუპვით, რომელთაც უნდა შეეყ-
ვანათ საქართველო XXI საუკუნეში... მთელმა საქართველომ
წააგო ომი აფხაზეთში, ხოლო დალის ხეობამ, კო-

დორის წყალი რომ რწყავს, ეს ომი მოიგო! იქაურები ლეგენდარული გმირებივით ინარჩუნებდნენ იმ ნაგლეჯს დედასამშობლოსი, რომელიც ღირსების კელაპტარივით ერთო დამცრობილი და შეურაცხყოფილი ქართველი ერის წინაშე“.

დაახ. ასეა! ჩვენი აღარაა კოდორის ხეობა, აღარც 100 წელს გადაცილებული ბრწყინვალე მთქმელები გვყვანან, არქაული სვანურით რომ ლაპარაკობდნენ, ყოველგვარი ინტერფერენციის გარეშე. საშუალო და ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში 2006-2008 წლებშიც იგრძნობოდა როგორც დიგლოსიური (სვანურ-ქართულ-მეგრული), ისე ბილინგვური (სვანურ-რუსული) თუ მულტილინგვური (სვანურ-აფხაზურ-რუსული) ინტერფერენციები, ახლა კი ქვემო ქართლსა და ზემო სვანეთში, ჩვენი ახლანდელი (2017-2019 წ.წ.) პროექტის სამუშაო ტერიტორიებზე, თითქმის გაქართულებულია კოდორელთა სვანური – მათი „აკვნის ენა“ (აკაკი შანიძის ტერმინოლოგიით).

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დიალექტურმა ინტერფერენციამ როგორც ზოგადად (რაც, უნივერსალიათა თვალსაზრისით, გამორჩეული მნიშვნელობისაა), ისე კონკრეტულად. ასე მაგალითად: თუ კოდორის ხეობაში საუკუნენახევრის წინ ჩასახლებულ ბალსზემოელთა თანამედროვე შთამომავალს დედა, ბებია, მეზობლები ან მეგობრები ყოფილი ბალსქვემოელები ჰყავს, მაშინ ის დროდადრო აუცილებლად იყენებს იქაურ ლექსემებს ბალსზემოურის გვერდით, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ისეთი მორფონოლოგიური მოვლენები, როდესაც ერთ კონკრეტულ სიტყვაში ზემოსვანურის ორივე დიალექტის ძალზე საინტერესო გრამატიკული პროცესები ერთდროულადაა ასახული:

1. ერთცნებიანი კომპოზიტი **ქჷინღემგენწლ** („სულდგმულე-ბი; პირუტყვები; საქონლები“) ენგურის ხეობიდან კოდორში ჩასახლებულთა მეტყველებაში ზოგჯერ **ქჷინღემგენწლ** ფორმითაცაა წარმოდგენილი (ე. ი. I კომპონენტი **ქჷი-** ბალსქვემოურია, მრავლობითობის -**წლ** მორფემა კი – ბალსზემოური). უკანასკნელ ხანებში კოდორელი ახალგაზრდობის წარმომთქმებში უმლაუტი და ხმოვანთა სიგრძე გადაშენების გზას ადგას უუმლაუტო და უგრძელხმოვნო ენათა მეზობლობაში. სწორედ ამიტომ კოდორელი ბალსზემო ახალგაზრდები **ქულღემგენწლ** საც ხმარობენ (|| **ქჷინღემგენწლ**).

2. იგივე შეიძლება გვეთქვა კოდორული **ქალღანრემ** („ქალ-

დანების“) ფორმის შესახებაც, თუ ის ისტორიული ბალსზემოური დიალექტიდან მომდინარეობს და პოსტპოზიციური წყობის (ან გათიშული) მსაზღვრელი არ არის, მაშინ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის თანხმონითი -**მ** ელემენტი სრულიად ზედმეტია, ხოლო, თუ ბალსქვემოური მონაცემია, ცხადია, ხმოვნის სიგრძე დაუშვებელია.

3. სვანურ ენას დღემდე ახასიათებს ურთულესი (ძველ ქართულზე მეტად) ტმესური და ელიზიური მოვლენები, ზოგჯერ სამოთხკომპონენტიაწებაც:

ქა-როქ-ხომ-დემის-ახყუელენ („ხომ არ გაშორდებოდაო“)! მასასადამე, რთულ კონსტრუქციაში (**ქა-როქ-დემის-ახყუელენ**), სადაც პრევერბი **ქა-** და საუღლებელი ზმნის პირიანი ფორმა (**ახყუელენ**) ერთმანეთს თიშავს, ჩართულია დიგლოსიური მონაცემი (კითხვით-დადასტურებითი თუ დაეჭვებითი მოქმედების გამომხატველი ქართული „ხომ“ ნაწილაკი).

ანალოგიური გარდამავალი მორფონოლოგიური (და სინტაქსურიც!) მოვლენები არაერთია კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში, რასაც განაპირობებს სხვადასხვა სვანური დიალექტის წარმომადგენელთა და მეგრელი, აფხაზი, რუსი, ესტონელი თუ თურქი რძლებისა და სიძეების სამეზობლო ურთიერთთანაცხოვრების წესები. ამიტომ, მთელი 12 წლის მანძილზე საკმაოდ კომპეტენტური შესწავლის საფუძველზე, დავასკვნით:

კოდორული მეტყველება ზემოსვანურ დიალექტთა შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ინტერფერენციული მონაცემია (შდრ. ლაშხურ-ლენტეხურ კილოთა ურთიერთშერწყმისაგან მიღებული ჩოლურული მეტყველება, რომლის შექმნაშიც არამხოლოდ ქვემოსვანური დიალექტები მონაწილეობენ; გარკვეულწილად ბალსზემოური მეტყველებაც ყურადსაღებია, რადგანაც სხვაგვარად ვერ ავხსნით ჩოლურულის უმლაუტიან გრძელ ხმოვნებს და, აგრეთვე, ზოგ საკითხებს სახელისა თუ ზმნის პარადიგმატულ სისტემაში).

პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონი. II.“

(საგრანტო ხელშეკრულება NFR -18-3659 პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით)

ნოდარ არდოტელი

ოიკონიმთა წარმოება დიდოურ ენაში*

1. დიდოეთი დაღესტნის უკიდურეს მთიანეთში მდებარეობს და მოქცეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე. იგი რომაულსა და ბერძნულ წყაროებში ჯერ კიდევ I ს.-ში მოიხსენიება. უხსოვარი დროიდან დიდოელებით დასახლებულ მიწა-წყალზე, წუნტისა და წუმადის რაიონებში, განთავსებულია 48-მდე აული, რომელთა სახელწოდებანი შეიძლება იყოს საერთოც (ხუძურ-დიდოური) და განსხვავებულიც (ა. ხუნძური, ბ. დიდოური). დაღესტნურ ტოპონიმიკაში დიდოურ ოიკონიმებს ყურადღება ნაკლებად ეთმობოდა. საერთო ოიკონიმებიდან ზოგს ხუნძური ეტიმოლოგია მოეპოვება, ზოგი კი დიდოურსავე საფუძველზე უნდა აიხსნას, მაგ.: **ქიდერო** // **ქიდერო** < ***ქუი-დერო** // ***ქუი-დირო** (შდრ. ხუნძ. ქუინე „ჭამა, კვება“) „საკვებიანი“, **კუშათ//კუშეთ**¹, ელბოყ (შდრ. დიდ. ელბო „მტრედი“) „მტრედისფერი, მტრედივით“, ასაჯ (< ***ას-ა-ჯო**, შდრ. ას „ცა“) „ცაზე, ცისკენ“, **გუტალ** < **გუტ-ჟალ** (შდრ. დიდ. გუტ „ბოლი, მტვერი“ - **ჟალ** „აული“) „მტვრიანი აული“ და ა. შ.

2. ყურადღებას იქცევს აულთა დიფერენცირებული სახელწოდებანი, რომლებშიც ოიკონიმთა ენობრივი კუთვნილება (ხუნძურ-დიდოური) დავას არ იწვევს, მაგ.: ხუნძ. **საჰადა** – დიდ. **სოტო**, ხუნძ. **ოცოკ** – დიდ. **ოსხო**, ხუნძ. **კილარტა** – დიდ. **ყულულა**, ხუნძ. **ოცოკ** – დიდ. **ოსხო**, ხუნძ. **აზილტა** – დიდ. **აზტო**, ხუნძ. **ჰამაიტაჯ** – დიდ.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

¹ ამ ოიკონიმში -ეთ სუფიქსი ჩვენს ყურადღებას სათანადო ქართ. სუფიქსისკენ წარმართავს.

ნაკურალ, ხუნძ. **მოყოყ** – დიდ. **ნეუტო** და სხვ.

3. დიდოურ აულთა წარმოებისათვის თვალის მიდევნებისას თავს იჩენს ეტიმოლოგიური კვლევის აუცილებლობა, ვინაიდან ოიკონიმთა სათანადო სეგმენტაცია და არქეტიპების რეკონსტრუქცია სწორედ ამგვარ კვლევასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, დიდოურ ენაში არაერთი ოიკონიმი, როგორც წესი, ლოკატიური ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი: ა) **-ტო/-ტ*** (I სერია) „-ზე“: რე-**ტო**, ჯუ-**ტო** (< ჯუნ-**ტო**, შდრ. ჯუნ „ხუტორი“) „ხუტორზე“, აზ-**ტო** (შდრ. აზ- „თრთვილი, ჭირხლი“)....; ბ) **-ჯო/-ჯ** (II სერია) „-ზე, -კენ“: ასა-**ჯო** (< *ას-ა-**ჯო**, შდრ. ას „ცა“) „ცაზე, ცისკენ“, ციციმა-**ჯ** (< *ციმ-ციმა-**ჯო**, შდრ. ციმ „ბოროტება, სიავე“), ჰინო-**ჯ** (< ჰინო-**ჯო**, შდრ. ჰინი „ხორბალი“), ბერი-**ჯ** (< ბერი-**ჯო**, შდრ. ბერო „ყინული“) „ყინულზე“....; გ) **-ხო/-ხ** (III სერია) „-თან, მახლობლად“: ჰლოც-**ხო**, ოს-**ხო** (შდრ. საჰ. ოს „ხარი“) „ხართანა“....; დ) **-შ** (V სერია) „-ში (სიცალიერეში)“: იჰ-**შ** (შდრ. იჰუ „მდინარე, ხევი“), ქიტ-**შ**, ეშ-**შ** (შდრ. ეშუ „ფაფარი, სავარცხელი“)....; ე) **-ლ** (VI სერია) „-ში“ (სავსეში): ქიმე-**ლ** (შდრ. ქიმუ „ღივი, მორჩი“) „მორჩში“ და ა. შ.

4. ზემომოყვანილ ოიკონიმთა გარდა, ზოგი აულის სახელწოდება შეიძლება ასე აიხსნას: **ყულ’ულა** „ორი მდინარის შესართავთან მდებარე აული ყადორის უღელტეხილის მიმართულებით“. ეს სახელწოდება დაკავშირებული ჩანს **ყულ’ალა** > **ყულ’ულა** („განტოტებული, განშტოებული“) სახელთან (შდრ. **ყულ’უ** „ორტოტა ფიწალი“), რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება „ორს“ (**ყა-ნო**) ეთანადებოდეს. ოიკონიმი **ნაკურალ** („ბოჩოხის უღელტეხილთან მდებარე აული“) აგებულიებით კომპოზიტი უნდა იყოს: **ნაკურ-ალ** (**ნაკურ** მიც. „მუხას“, **ალ** < **ჟალ** „სოფელი“) „მუხათსოფელი“ (ზედმიწ. „მუხას-სოფელი“) და მისთ.

წოვათუშურ-ქართული ახალი ლექსიკონის შექმნის პრინციპები*

ლექსიკონი წარმოადგენს ენის აღწერისა და დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. საფრთხეში მყოფი ენისათვის იგი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მისი როლი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიზნებით. იგი არის არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის ელემენტების ფიქსირებისა და გადაცემის საშუალება.

დაგეგმილია წოვათუშურ – ქართული ახალი ლექსიკონის იმგვარად შედგენა, რომ აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ენათმეცნიერებისა და მკვლევრების ინტერესებს, არამედ დაეხმაროს ენის შემსწავლელებს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს; იგი გამდიდრდება ლექსიკური ერთეულებით, გამარტივდება გრაფიკა, დაემატება აუცილებელი გრამატიკული ინფორმაცია. ახალ ლექსიკონში შევა ყველა არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია წოვათუშური ენის ათამდე სუფიქსი მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად თავისი ფონეტიკური ვარიანტებით. სუფიქსთა ასეთი მრავალფეროვნების პირობებში თითქმის შეუძლებელია ენის არმცოდნის მიერ იმის განსაზღვრა, რომელი მათგანი უნდა გამოიყენოს ამა თუ იმ სახელის რიცხვის საწარმოებლად, ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია ახალ ლექსიკონში ამ ხარვეზის შევსება.

ამასთანავე, სახელებს მიეწერება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რადგან ენაში მოქმედებს ორფუძიანი ბრუნების პრინციპი, „ერთი არის სახელობითის ფუძე, მეორე ნათესაობითის ფუძე. ეს უკანასკნელი გამოყენებულია დანარჩენი ფორმებისათვის. ბრუნვის ნიშნები ერთვის **ნ** ჩამოცილებულ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებს **ე**-სა და **ო**-ს“ – მიუთითებს თავის საკანდიდატო დისერტაციაში რ. გაგუა.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).

საგანგებო ყურადღება დაეთმობა ლექსიკონის შევსებას საველე სამუშაოებისას ჩაწერილი მდიდარი ონომასტიკური მასალით. ონომასტიკური სახელები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უდამწელობო ენების შემთხვევაში, უმეტესად ისინი საკმაოდ ძველია და არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური – ისტორიული, ფოლკლორული და კულტურული – ცოდნის ამსახველიცაა. აქამდე არსებულ ლექსიკონებში ონომასტიკა ძალზე მწირადაა წარმოდგენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთა უმრავლესობა წოვათუშურზე უკეთ ქართულს ფლობს, აუცილებლობად გვესახება ქართული საძიებლის დართვა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელსაც და იქნება ბაზა ქართულ-წოვათუშური ლექსიკონის შესაქმნელად.

რო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

ლ ე ზ გ ი უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ის ტ ო რ ი ი დ ა ნ *

ლეზგიური ენის წერილობითი ფიქსაცია XVIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება. მოგვეპოვება არაბული გრაფიკით XVIII-XIX საუკუნეებში შესრულებული რამდენიმე პოეტური ტექსტი, ესენია - საიდ ყოჩხურელის (1767-1812 წწ.), ეთიმ ემინისა (1838-1889 წწ.) და სხვათა ნაწარმოებები. არაბული გრაფიკა ლეზგიურისთვის XX საუკუნის 20-იან წლებამდე გამოიყენებოდა. 1928 წელს ლეზგიური ანბანი ლათინურ გრაფიკაზე გადაიყვანეს, ხოლო 1938 წლიდან გამოიყენება კირილიცა.

ლეზგიური ენის ლექსიკის ჩამონათვალი პირველად გვხვდება ი. კლაპროტის ნაშრომში „მოგზაურობა მთიან კავკასიასა და საქართველოში“. კლაპროტთან წარმოდგენილია სულ 23 ლეზგიური სიტყვა, თანაც მათი უმრავლესობა დამახინჯებული სახით გვხვდება. ასე, მაგალითად, ლექსემა „დედა“ გადმოცემულია **pau** ფორმით,

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).

რომელიც ფაზ „ცოლი“ ლექსემის დამახინჯებული ვარიანტია. ზოგიერთი სიტყვა კი სრულიად გაუგებარი, აუხსნელი სახით გვხვდება; მათ შორისაა: **damma** „პირი“, **zral** „წვერი“, **byz** „ძალი“, **siavra** „ძროხა“, **villi** „მგელი“, **za** „ცეცხლი“, **ihl** „მელია“, **tapalar** „თითი“ და სხვ.

გარდა ლექსიკური მასალისა, კლასროთი წარმოგვიდგენს ზოგად ცნობებს ლეზგიური ენის შესახებ, თუმცა ეს ცნობები არასრულია და ხშირ შემთხვევაში მცდარია. თავად ავტორის თქმით, მას არა აქვს რაიმე წარმოდგენა ლეზგიური ენის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ი. კლასროთი ტერმინით „ლეზგიური ენები“ აერთიანებს სხვადასხვა დადესტნურ ენას - ხუნძურს, დარგულს, ლაკურს და სხვ., მსგავსად ი. გიულდენშტეტლისა, რომელთანაც „ლეზგიური“ ენების ჩამონათვალი შემდეგი სახისაა: ანწუხური, ჭარული, ხუნძახური, დიდოური.

ლეზგიური ლექსიკა (545 სიტყვა) წარმოდგენილია რ. ერკერტის ნაშრომში „კავკასიური ძირის ენები“ (1895 წ.). სამწუხაროდ, მასალაში ხშირია შეცდომები.

ლეზგიური ენისა და, მათ შორის, ლეზგიური ლექსიკის მეცნიერული შესწავლა იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან. პირველ სამეცნიერო გამოკვლევად ლეზგიური ენის შესახებ სამართლიანად მიიჩნევა პეტრე უსლარის „კიურული ენა“, რომელიც დასრულდა 1876 წელს, თუმცა ბეჭდურად გამოქვეყნდა მხოლოდ 1896 წელს. ამ მონოგრაფიას, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა, ერთვის ლეზგიური სიტყვათკრებული (დაახლ. 2 ათასი სიტყვა).

ლეზგიური ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განვითარება იწყება ახალი, ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ლეზგიური ანბანის შემოღების შემდეგ (1928 წ.). 1931-1932 წლებში მომზადდა და მაჰაჩყალაში გამოიცა ტერმინოლოგიური ცნობარები საქმისწარმოებაში, მათემატიკასა და ფიზიკაში, ხოლო 1940 წელს გამოქვეყნდა ტერმინოლოგიური ლექსიკონი. 1950 წელს მაჰაჩყალაში გამოქვეყნდა რუსულ-ლეზგიური ლექსიკონი (დაახლოებით 35 ათას სიტყვას მოიცავს), რომლის შემდგენელი იყო მ. გაჯიევი. 1966 წელს კი გამოიცა ლეზგიურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც დაახლოებით 28 ათას სიტყვა-სტატის მოიცავს. ამ ლექსიკონის შედგენა 1956 წელს დაიწყო მ. გაჯიევმა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1958 წ.) დაასრულა ბ. თალიბოვმა. იმ წელსვე ბ. თალიბოვმა

გამოსცა რუსულ-ლევზიური ლექსიკონიც (დაახლ. 12 ათასი სიტყვა).

ბოლო პერიოდშიც არ შენელებულა მუშაობა სხვადასხვა ლექსიკონების შედგენაზე: 2003-2005 წლებში ორ ტომად გამოქვეყნდა ლევზიური ენის განმარტებითი ლექსიკონი (ა. გულმაგომედოვის რედაქციით), რამდენჯერმე გამოიცა ლევზიური ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი და სასკოლო რუსულ-ლევზიური ლექსიკონები, გამოქვეყნდა სინონიმების, ანტონიმების, ომონიმების, ფრაზეოლოგიური, ტერმინოლოგიური, ორიენტალიზმების, არაბული და სპარსული ნასესხობების, საკუთარი სახელებისა და სხვა ლექსიკონები.

ვაჟა შენგელია

ყაბარდოული ენის ლექსიკის შესწავლის ისტორიიდან*

იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ენების – ადიღურისა და ყაბარდოულის, ლექსიკა პირველად წარმოდგენილია ევროპელ მოგზაურთა დღიურებში, რომლებიც დაბეჭდილია 1974 წელს ნალჩიკში გამოქვეყნებულ კრებულში „ადიღები, ბალყარელები და ყარაჩაელები ევროპელ ავტორთა ჩანაწერებში“. ეს ჩანაწერები გვაწვდის ძირითადად ლექსიკის გარკვეულ ჯგუფს – ტოპონიმებს, ანთროპონიმებსა და ეთნონიმებს (მაგალითად, „ჩერქეზის“ აღსანიშნავად გამოყენებულ სხვადასხვა ტერმინებს). საინტერესოა XV-XVI საუკუნის იტალიელი მოგზაურის ჯორჯო ინტერიანოს მოგზაურობაში მოცემული შენიშვნა ჩერქეზულ საკუთარ სახელთა წარმოების შესახებ.

გერმანელი მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში იმოგზაურა კავკასიაში, გვთავაზობს ყაბარდოული ლექსიკის პირველ სისტემური ხასიათის ჩანაწერებს. ცნობილია,

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).

რომ მას ჰქონდა გერმანულ ენაზე შედგენილი სიტყვანი, რომლებსაც ის თარგმნიდა თარჯიმნების დახმარებით. სიტყვანის 260 სიტყვიდან ყაბარდოულად ყველა არ არის თარგმნილი. სიტყვები ჩაწერილია ლათინური ანბანის საშუალებით (დამატებითი ნიშნების გარეშე), რაც, ბუნებრივია, არ იძლეოდა ყაბარდოული სიტყვების ზუსტად გადმოცემის საშუალებას (სიტყვათა გარკვეული რაოდენობა მაინც მიახლოებულია გამოთქმასთან). სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია შეცდომები თარგმანშიც (მაგ., მრავლობითი რიცხვის III პირის ნაცვალსახელი თარგმნილია როგორც II პირისა).

გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ჰ. კლაპროთმა პეტერ-ბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში, იყო ყაბარდოში და ჩაიწერა რამდენიმე ათეული ყაბარდოული სიტყვა და ფრაზა. ეს მასალა (სამწუხაროდ, სიზუსტეს მოკლებული), როგორ თავად აღნიშნავს, ჩაუწერია ძირითადად მდ. ყუბანის პირას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ კლაპროთი პლაგიატორია და იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა, რომელიც მან 1814 წელს გამოაქვეყნა ბერლინში გერმანულ ენაზე, სხვის მიერ ჩაწერილის გამეორებაა (წყაროზე მიუთითებლად).

ჩერქეზ განმანათლებელს შორა ნოდმას ეკუთვნის ყაბარდოული ენის პირველი გრამატიკა, რომელიც მისი გარდაცვალებიდან მხოლოდ ასზე მეტი წლის შემდეგ გამოიცა (1956 წელს). გამოიცა, ასევე, რამდენიმე ათასი სიტყვის შემცველი მისი „ყაბარდოულ-რუსული ლექსიკონი“, რომელიც ავტორს თემატური პრინციპით ჰქონია დალაგებული, მაგრამ გრამატიკისა და ლექსიკონის გამომცემელს გ. ტურჩანინოვს სიტყვები ანბანთრიგზე დაულაგებია; მისივე გაკეთებულია აღნიშნულ სიტყვათა თანამედროვე ფორმების ლექსიკონი. ამასთან ერთად, ლექსიკონს ერთვის შორა ნოდმას მიერ შედგენილი ყაბარდოული საკუთარი სახელების ლექსიკონი.

ყაბარდოული ანბანის შექმნის შემდეგ XX საუკუნის ოციანი წლებიდან გამოვიდა ორი ლექსიკონი: ყაბარდოელი განმანათლებლის ბ. ხურანოვის „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“ (1925), მ. კანუკოვის „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“ (1940). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბეჭდა ა. ბიჩოვისა და ბ. ქარდანოვის „ყაბარდოულ-რუსული ლექსიკონი“ (1955, დაახლ. 30 000 სიტყვა), ავტორთა კოლექტივის „ყაბარდოულ-რუსული ლექსიკონი“ (1937, 20 000 სიტყვა), ბ. ქარდანოვის „ყაბარდოულ-რუსული ფრაზეოლო-

გიური ლექსიკონი“ (1973). ყაზარდოელმა მკვლევარმა ჯ. კოკოვმა მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ჩერქეზულ ენათა ტოპონიმებსა და ანთროპონიმებს, შეადგინა და გამოსცა სათანადო ლექსიკონები. დაიბეჭდა ბ. ხაკუნოვის „მცენარეთა სახელების ლექსიკონი“ (1975)...

ჩერქეზულ ლექსიკოგრაფიაში სეტაპო მნიშვნელობისა იყო ა. ხატანოვისა და ზ. კერაშევას „ადილეური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (1960, 17 000 სიტყვა), რომელიც პირველი ამ ტიპის ლექსიკონი იყო მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილეში (ლექსიკონის შემდგენლებს კონსულტაციას უწევდნენ აკად. არნ. ჩიქობავა და პროფ. გ. როგავა). ამ ლექსიკონის შედგენისას დაგროვილი გამოცდილება გამოიყენეს შემდგომ ყაზარდოული ენის ლექსიკონის დამუშავებისას.

„ყაზარდოულ-ჩერქეზული ენის ლექსიკონი“ შეადგინეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ყაზარდო-ბალყარეთის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტის თანამშრომლებმა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების კურსდამთავრებულის, აკად. არნ. ჩიქობავას პრემიის ლაურეატის პეტრე ბაღოვის ხელმძღვანელობით. ლექსიკონი გამოიცა 1999 წელს – პ. ბაღოვის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ.

აღნიშნული ლექსიკონი წარმოადგენს ყაზარდოული (ყაზარდოული – ჩერქეზული) ენის პირველ განმარტებით ლექსიკონს, რომელშიც შედის ძირითადად საერთო მოხმარების სიტყვები. ლექსიკონში შევიდა, აგრეთვე, ფრაზეოლოგია, გარკვეული რაოდენობით სამეცნიერო ტერმინოლოგია, არქაიზმები და დიალექტიზმები. ლექსიკონი კარგად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, თანამედროვე ეტაპზე ყაზარდოული ენის ლექსიკურ შემადგენლობას, მეორე მხრივ, ის ნორმატიული ხასიათისაა.

ლექსიკონი განკუთვნილია პირველ რიგში იმათთვის, ვისთვისაც ყაზარდოული მშობლიური ენაა, აგრეთვე, იმ პირებისათვის, ვისაც ყაზარდოულის შესწავლა აინტერესებს.

„ყაზარდოულ-ქართული ლექსიკონისათვის“ ყაზარდოული სიტყვანის შედგენა სწორედ ამ აკადემიური ხასიათის ლექსიკონზე დამყარებით ხდება.

**პროექტი „არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება
კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“**
(პროექტი (№FR-18-072) ხორციელდება შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით)

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

სიტყვაწარმოებითი იზოგლოსების შესახებ კავკასიის ენებში*

მრავალენოვანი კავკასიის მცირე ტერიტორიაზე ერთმანეთის მეზობლად წარმოდგენილია მონათესავე და არამონათესავე ენები, რომელთა მასალის თავმოყრამ და სისტემურმა კვლევამ მნიშვნელოვანი ფაქტები უნდა წარმოაჩინოს სიტყვაწარმოების ტიპოლოგიის თვალსაზრისით, რასაც მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კავკასიოლოგიის, არამედ ზოგადი ენათმეცნიერებისთვისაც.

კავკასიაში გავრცელებულ ენებში ყურადღებას იქცევს სიტყვაწარმოებითი პარალელები (იზოგლოსები), რაც სისტემურად გამოკვლეული ჯერ არ ყოფილა. პარალელები ვლინდება როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს შორის. მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა ხარისხით ვლინდება პარალელები სხვადასხვა ენებში როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად; როგორია მათი გავრცელების არეალი; რომელი ლექსიკური ჯგუფებისთვისაა უფრო მეტად დამახასიათებელი ამგვარი პარალელები და სხვ.

კავკასიაში გავრცელებულ ენებში ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, მაგალითად, კომპოზიტიური სიტყვაწარმოება, კერძოდ, შეერთებითი კომპოზიტები. მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ კომპოზიციის ეს მოდელი კავკასიის ენებში საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშან-თვისებებს ავლენს

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის ნომერი – FR-18-072).

(გ. კლიმოვი, ს. ხაიდაყოვი, ა. შაგიროვი...), მაგ., „მშობლების“ აღმნიშვნელი ლექსემა ამ ენებში აგებულია კომპოზიციის საერთო მოდელის მიხედვით – „დედა“+„მამა“: ქართ. *დედ-მამა*, სვან. *დო-მუ*, ბაცბ. *ნან-დად*, ხუნძ. *ებელ-ემენ*, ლაკ. *ნინუ-ფაუ*, დარგ. *ნეშ-დუდუშ*, ლუზგ. *დიდე-ბუბა*, რუთულ. *ნინ-დიდ* „მშობლები“; შდრ. სომხ. *ჰად-რიკ-მადრიკ* „მშობლები“ (სიტყვასიტყვით: „მამა-დედა“). ანალოგიური აგებულებისაა სიბლინგების აღმნიშვნელი კომპოზიტი: ქართ. *და-ძმა*, სომხ. *ქუდრ-ეხეპადრ* „და და ძმა“ (სიტყვასიტყვით: „და-ძმა“), ხუნძ. *ჟაცა-მაცა* „ძმა და და“ (სიტყვასიტყვით: „ძმა-და“).

ანალოგიურად: ქართ. *ცოლ-ქმარი*, შდრ. ხუნძ. *როს-ლჰადი* „ქმარი და ცოლი“ (სიტყვასიტყვით: „ქმარი-ცოლი“);

მსგავსება თავს იჩენს კომპოზიტებშიც, რომლებითაც აღინიშნება ამა თუ იმ სულიერ არსებათა (ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა...) ერთობლიობა, კრებითობა. ასეთებია, მაგ., ხუნძ. *ჰი-ბოწი* „შინაური რქოსანი პირუტყვი“ (სიტყვასიტყვით: „ცხვარი-საქონელი“), შდრ. ქართ. *ცხვარ-საქონელი* „შინაური პირუტყვი“; ხუნძ. *ჰანკუ-ჰელეჟო* „შინაური ფრინველები“, ზედმიწ. „ქათამი-მამალი“; მის საპირისპიროდ – *ლედუ-ჰინჰა* „გარეული ფრინველები“, ზედმიწ. „ყვავი-ჩიტი“; *ჰუტ-კარა* „მწერები“, ზედმიწ. „ჰია-კოლო“, შდრ. ქართ. *ჰია-მატლი*, *ჰია-ლუა*; ხუნძ. *ჰინტა-ბოროხ* „ქვეწარმავლები“, ზედმიწ. „ხვლიკი-გველი“, შდრ. ქართ. *გველ-ბაყაყი*.

სომატურ ლექსიკაში: ხუნძ. *ბერ-კალ* „სახე“ (სიტყვასიტყვით: „თვალი-პირი“), შდრ. ქართ. (დიალ.) *თორპილი*, *თოლ-პირი* „სახე“ და სხვ.

პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი და ს ტ უ რ დ ე ბ ა გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ ე ბ ი თ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი ც (*composita determinativa / tatpurusha*), მაგ., „ცისარტყელას“ აღსანიშნავად ერთგვაროვანი სახელდება ქართველურ ენებში: ქართ. *ცი(ს)-სარტყელა*, მეგრ. *ცაშ-ორტყაფუ*, სვან. *დეგე-ლარტყ* (სამსავე ენაში სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა: „ცის სარტყელი“), შდრ. დიდოურ ენაში: *ასოს-აშუნი* (სიტყვასიტყვით: „ცის ქამარი“). სვანური ენის უშგულურ თქმაში „ცისარტყელის“ სახელწოდებად დასტურდება აგრეთვე *ლაძრია ლარტყ* „ლამარიას სარტყელი“ (იხ. ივ. ნიჟარაძის „რუსულ-სვანური ლექსიკონი“).

თავისებურებას გვიჩვენებს „ცისარტყელის“ სახელწოდება ჩეჩნურსა და ინგუშურში: ჩეჩნ. *სთდელა-ყად*, ინგუშ. *სდელა-ყად*, სი-

ტყვასიტყვით: „სთელას მშვილდი“ (*სთელა/სელა* – წვიმის, ცეცხლისა და კერიის წარმართული ღვთაება ვაინახურ მითოლოგიაში).

„ცისარტყელის“ აღმნიშვნელი კომპოზიტი პარალელებს წარმოგიდგენს კავკასიის სხვადასხვა ენებსა და დიალექტებში, მაგ., ქართული ენის მთის დიალექტებში: *მშვილდ-ისარანი* „ცისარტყელა“, ბაცბ. *გატყ-წაქი* (სიტყვასიტყვით: „მშვილდი“ და „ისრები“), ხუნდ. (ანწუხ. დიალ.) *ჭორ-ბუტ* (სიტყვასიტყვით: „ისარი“ და „მშვილდი“) და სხვ. ფაქტი საყურადღებოა არ ე ა ლ უ რ ი ლ ი ნ გ ვ ი ს - ტ ი კ ი ს ა და ტ ი ჰ ო ლ ო გ ი ი ს თვალსაზრისით (შდრ. ინგლ. rain-bow „ცისარტყელა“, სიტყვასიტყვით: „წვიმის მშვილდი“).

მსგავსებები შეიძლება თავს იჩენდეს სრულიად სხვადასხვა წარმომავლობისა და ტერიტორიულად დაშორებულ ენებშიც, მაგ., ხუნდ. *შურუნ-ყურყ* „კუ“ (სიტყვასიტყვით: „ჯამი-ბაყაყი“), ლაკ. *მაჯარა-ორჯატი* „კუ“ (სიტყვასიტყვით: „ნაჭუჭი ბაყაყი“), შდრ. გერმ. *Schild-Kröte* „კუ“ (სიტყვასიტყვით: „ფარი გომბეშო“).

დღემდე ვერ მოხერხდა ქართ. *საზამთრო* სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა მიუხედავად იმისა, რომ მისი აგებულება თითქოს ნათელია: იგი ნაწარმოები ჩანს *ზამთარ-* ფუძისაგან *სა-ო* კონფიქსის მეშვეობით, მაგრამ სრულიად გაუგებარია ამგვარი სახელდების მოტივი. ვითარება კიდევ უფრო უცნაურად წარმოგიდგება თუ ამ ქართულ სიტყვას შევუდარებთ სომხურს: სომხ. *ძმერუკ*, სადაც აშკარად გამოიყოფა ფუძე *ძმერ* „ზამთარი“.

გენდერული თვალსაზრისით საინტერესოა „მამაკაცისა“ და „ქალის“ აღმნიშვნელი განსაზღვრებითი კომპოზიტები: ქართ. *მამაკაცი* „მამაკაცი“ (სიტყვასიტყვით: „მამა ადამიანი“), *დედა-კაცი* „ქალი“ (სიტყვასიტყვით: „დედა ადამიანი“); შდრ. ხუნდ. *ბიზინ-ჩი* „მამაკაცი“ (სიტყვასიტყვით: „მამრი ადამიანი“) და მის საპირისპიროდ კომპოზიტი – *ჭუჟუ* (<წუჟო) „ქალი“ (ტ. გუდავა), სიტყვასიტყვით: „მდედრი რამ [ნივთი]“.

კარგადაა ცნობილი „გული“ სომატიზმთან დაკავშირებული პარალელები, რომლებიც ვლინდება ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებს შორის. ამ ენათა მსოფლხედვით, „გული“ გვევლინება აზროვნების პროცესების ცენტრად (ნაცვლად „ტვინისა“), ასევე – გრძნობებისა და ემოციების წყაროდ, ტემპერა-

მენტისა და ხასიათის განმსაზღვრელად და სხვ., ამიტომაც ამ ენებში „გული“ სიტყვით გამოხატულია ისეთი ცნებები, როგორცაა „გაგება“, „დამახსოვრება“, „დავიწყება“, „მრისხანება“, „სიხარული“, „ფრუსტრაცია“, „სიყვარული“ და სხვ. (არნ. ჩიქობავა, ს. ხაიდაყოვი, ჯ. სამედოვი, ბ. ქარდანოვი). აღსანიშნავია, აგრეთვე, სომატიზმი „ღვიძლი“ ნათესაობის ლექსიკაში, რომელიც გვიჩვენებს პარალელიზმს სხვადასხვა ენებს შორის; მაგ., ქართ. *ღვიძლი ძმა* „ღვიძლი ძმა“, შდრ. ხუნდ. *ტულაღულ ჭაც* „ღვიძლი ძმა“ (სიტყვასიტყვით: „ღვიძლის ძმა“). სომატიზმების შემცველ ლექსემათა კვლევას შუძლია ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით საინტერესო მასალა გამოავლინოს.

ენობრივი მსოფლხედვის შესახებ საყურადღებო ცნობებს წარმოაჩენს ეტიმოლოგიური ანალიზი, რის ერთ-ერთ მაგალითადაც გამოდგება „*ღამურის*“ აღმნიშვნელი სახელწოდება ხუნძურში: *ყობოლზაკარ* „ღამურა“. ამ კომპოზიტში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ფუძე *ყობო-*, რომელიც არის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სიტყვისა *ყებ* „ტყავი“ (ნათ. *ყობო-ლ*, „ტყავისა“ < *ყებო-ლ*), ხოლო კომპონენტი *-ლზაკარ* სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) დამოუკიდებელ სიტყვად აღარ იხმარება და მისი მნიშვნელობა სალიტერატურო ენაზე მეტყველი ხუნძებისათვის უცნობია. სამაგიეროდ, ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში მოიპოვება სიტყვა *თელაკარ* „მერცხალი“, რომელიც ფონეტიკურად კანონზომიერად შეესატყვისება *ლზაკარ* ფუძეს. ჩრდილოური ხუნძურის (სალიტერატურო ხუნძურის) სალიტერატურო *ლ* სპირანტს ანწუხურში თ რომ შეესატყვისება (თ < ლ) ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში (პ. უსლარი, ი. ცერცვაძე, შ. მიქაილოვი, არნ. ჩიქობავა). ამრიგად, ანწუხურ სიტყვასთან შედარება ნათლად მიანიშნებს, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა „ღამურის“ სახელწოდებაში შემონახულ *ლზაკარ* ფუძეს. ხსენებული კომპოზიტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ჩრდილოურ ხუნძურში უნდა ყოფილიყო „ტყავიანი მერცხალი“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სხვა დადესტნურ ენაშიც ღამურის სახელდებისათვის გამოყენებულია სწორედ „*ფრინველის*“, „*ჩიტის*“ აღმნიშვნელი ფუძეები, მაგ., ლაკურ კომპოზიტში *ხაჩარა-ჭელმუ* „ღამურა“, სიტყვასიტყვით: „ტყავი-ჩიტი“ (ჭელმუ „ჩიტი“).

მაშასადამე, შედარება არკვევს, რომ დადესტნური ენებისათვის ღამურა იგივე ჩიტია, ოღონდ, ენობრივი მსოფლხედვის მიხედვით, ფრინველისგან განსხვავდება იმით, რომ ტყავით არის შემოსილი და არა ბუმბულით. ანალოგიისათვის შდრ. აგრეთვე აფხაზურ-ადიღურ ენათა კომპოზიციებიც: აფხაზური *ახ'გლფ-წგს* „ღამურა“, სიტყვასიტყვით „სალამო-ჩიტი“; ადიღური *ჩგს-ბზგუ* „ღამურა“, სიტყვასიტყვით: „ღამე-ჩიტი“; უბიხური *სგს-ღ'გნდ'გ* „ღამურა“, სიტყვასიტყვით: „ღამე-ჩიტი“.

მსგავსებამ თავი შეიძლება იჩინოს ფონოემანტიკურ მოვლენებშიც, მაგ., ხუნდ. (დიალ.) *ყაჭ-ყაჩ* „კაჭკაჭი“, შდრ. ქართ. *კაჭ-კაჭი* „კაჭკაჭი“ (მიღებულია რედუპლიკაციით). მსგავსადვე: ქართ. *პეპ-ელა* „პეპელა“, შდრ. ბეჟიტ. *პიმპალა-პაპი* „ღამურა“; ხუნდ. (დიალ) *ბებეჩუ* „მერცხალი“, შდრ. ხუნძური ენის სხვა დიალექტში: *ბებერ* „ღამურა“.

გლოსოლალა, შინაარსმოკლებული სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც რეფრენად გასდევს არაერთ სიმღერას დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი კავკასიის ენებში. ქართველური ნიმუშები, მაგ., *ოდელია*, *ჰარი-ჰარალე*, *ლისიმ-დალალეო*, *ბაილ ილბა*, *ილბა ბაილ*, *ვოისა რერა რამაშა*, *შინა ვოგილ*, *ერეხელი მერეხელი* და სხვ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცალკეულ მხარეთა სიმღერები გამოირჩევიან გლოსოლალის საკუთარი ნიმუშებითაც, მაგ., *ჰარი-ჰარალე* დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ხოლო *ოდელია* – დასავლეთისათვის. ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ნიმუშის გავრცელების არეალი, მაგ., მხოლოდ მეგრულში გვხვდება *ვარაიდა*, რომელიც დანარჩენი კუთხეებისათვის უცხოა, მაგრამ მას კარგად იცნობენ აფხაზები, ჩერქეზები, ყარაჩაელ-ბალყარელები, ოსები. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლურ ქართულში გავრცელებულ *დელი-დელია*-ს, მაგ., ფონეტიკური პარალელები ეძებნება დადესტანში: ხუნძურში მოიპოვება *დილაი-დილაი*, *ჰოი დაი დალალაი*, *დოლალაი* და სხვ. კულტურულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუმცა მეტად რთულია დადგენა ისეთ სიტყვათა წარმომავლობისა სიმღერებში, როგორიცაა *ოროველა* (შდრ. სომხ. *ჰორველ*), *დალაი*, *ლილე*, *ჯანსულო*, *ოდოია* და სხვა მისთ. საინტერესო მასალა უნდა მოგვცეს ექსპრესიული ლექსიკის, აგრეთვე, გლოსოლალისა და ასონანსის მოვლენათა შედარებით-შეპირისპირებითმა კვლევამაც. გლოსოლალური ასონანსის ერთ-

ერთი ნიმუშია, მაგალითად, ხუნძურ საბავშვო ფოლკლორში: *ამინა-ზამინა, ბუზურ-ყუზურ, ჯანზა-მანზალ, კიჰ-კუჰ*; შდრ. ქართ. *იწილო-ბიწილო...აღხო-მაღხო* და სხვ.

ნოდარ არდოტელი

განსაზღვრებითი კომპოზიტები დიდოურ და ბეჟიტურ ენებში*

1. დიდოურ და ბეჟიტურ ენებში ფართოდ არის გავრცელებული სახელთა **განსაზღვრებითი კომპოზიტების (composita determinativa)** სიტყვაწარმოება. განსაზღვრებითი კომპოზიტი წარმოშობით სახელთა ატრიბუტულ შესიტყვებას წარმოადგენს, ამიტომ პრეპოზიციურ (resp. პოსტპოზიციურ) მსაზღვრელად შეიძლება ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი სახელი (იშვიათად - ზმნისართიც) მოგვევლინოს. მსაზღვრელი სახელი ძირითადად სახელობითსა და ნათესაობითში დგას, მაგ.: საკ. დიდ. ჯაბანი ალი „ჭილყავი“ (ზედმიწ. ჯაბანი „შავი“, ალი „ჩიტი“), ნუცოტოსი ტუტ „ფუტკარი“ (ზედმიწ. ნუცოტოსი „თაფლიანი“, ტუტ „ბუზი“), ალუკანი მე „არყისხე“ (ზედმიწ. ალუკანი „თეთრი“, მე „არყი“), ციკეს გენი „პანტა“ (ზედმიწ. ციკეს „ტყის“, გენი „მსხალი“)...; ბეჟ. ფუყო იფო „სიდედრი, დედამთილი“ (ზედმიწ. „დიდი დედა“), ლწკლიტაქო-ბოხ „ბაბუაწვერა“ (ზედმიწ. ლწკ „ჭრილობა“, ბოხ „ბალახი“ = „ჭრილობაზე [დასადები] ბალახი“), წოდოლო ლე „მარწყვი“ (ზედმიწ. წოდოლო „შავი“, ლე „კენკრა“), აბოს აკო „დედინაცვალი“ (ზედმიწ. აბოს „მამის“, აკო „ცოლი“), აქლამოვას ბიშე „კოზაკი“ (ზედმიწ. აქლამოვას „აქლემის“, ბიშე „ხბო“) და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კომპოზიტის პირველი კომპონენტის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია და არაიშვიათად აბსოლუტივის ფორმას ემთხვევა, მაგ.: ბეჟ. აბო-ისი (< აბო-ს ისი) „მა-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-072).

მიდა“ (ზედმიწ. „მამის და“), ბულ^წ-ბოხ (< ბულ^წის ბოხ) „ღორისთითა“ (ზედმიწ. „ღორის ბალახი“) და სხვ.

2. სახელობითისა და ნათესაობითის გარდა, მსაზღვრელი შესაძლოა სხვა რომელიმე ბრუნვის (ერგ., ლოკ.) სახითაც შეგვხვდეს. ა) მსაზღვრელი ერგატივში: ბეჟ. სიდი-ჰოსო, საკ. დიდ. სიდ^წ-სის „ერთმანეთი“ (შდრ. ძვ. ქართ. ერთმან-ერთი)...; ბ) მსაზღვრელი ლოკატივში: ბეჟ. ლ^წახა-მაჩე (< ლ^წახნდ-მაჩე) „მიწა, ნაკვეთი“, წუდდაჟ-ქაჩრ^წ „ღია წითელი“ და მისთ.

3. განსაკუთრებულ ტიპს ქმნიან ისეთი პოსტპოზიციური ატრიბუტული კომპოზიტები, რომლებშიც მეორე კომპონენტად მიმართებითი ზედსართავი სახელი (resp. მიმღეობა) გვხვდება, მაგ.: საკ. დიდ. ჰუჰ-რეტ^წიჯოსი „პირსახოცი“ (ზედმიწ. ჰუჰ „სახე“ - რეტ^წიჯოსი „ხელიანი“), ნოლ^წუ-ქექა „ნაცარქექა“ (ზედმიწ. ნოლ^წუ „ნაცარი“ - ქექა „ქექა“, შდრ. ქართ. ქექა), კუქ-ბოდიხოსი „მექუდე“ (ზედმიწ. „ქუდ-მკეთებელი“) და ა. შ.

4. დასტურდება ისეთი კომპოზიტებიც, რომლებშიც ფუძეთა რედუპლიკაციისას მეორე კომპონენტს თავიკიდურად მ ერთვის ან ენაცვლება: ბეჟ. იტ-მიტინო „მცირეოდენი“ (< იტინო „პატარა“), ოწ-მოწიფო „მსხვილ-მსხვილი“...; საკ. დიდ. წუდა-მუდა „მოწითალო“ (ზედმიწ. „წითელ-მითელი“), ალუკა-მალუკა „მოთეთრო“ (ზედმიწ. „თეთრ-მეთრი“). გარდა ამისა, კომპოზიტთა პირველ კომპონენტად დასტურდება გასუბსტანტივებული მსაზღვრელი, რომელიც წარმოდგენილია ინესივში, მაგ.: ბეჟ. წუდდაჟ-ჰალდიფო „თეთრ-წითელი“ (ზედმიწ. „წითელში თეთრი“), წოდოლაჟ-ჰალდიფო „შავ-თეთრი“ (ზედმიწ. „შავში თეთრი“) და სხვ.

5. ენობრივი მსოფლხედვის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს კომპოზიტის ნომინაციის პრინციპი, მისი სტრუქტურა და სათანადო სემანტიკა, რაც ძალიან ხშირად ქართულ და დიდოურ ენებს საერთო აქვთ, მაგ.: საკ. დიდ. ალუკანი მე „არყისხე“, „თეთრარყა“ (ზედმიწ. ალუკანი „თეთრი“, მე „არყი“), ასოს აშუნი „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „ცის სარტყელი“, შდრ. ხევს. მშვილდ-ისარანი, ბაცბ. ატყ-წაქი ზედმიწ. „მშვილდი-ისრები“), ჰუჰ-მჰალი „სახე“ (ზედმიწ. „ცხვირპირი“, შდრ. ხუნდ. ბერ-კალ, ხევს. თორ-პილი „id.“) და მისთ. ამასთანავე, ალუკანი მე („არყისხე“) ტიპის შესიტყვებათა ლექსიკალიზაცია დასრულებული ჩანს, ამიტომაც ითვლებიან კომპოზიტებად და მათი დეფისით დაწერა (ალუკანი-მე) არ უნდა იყოს უმართებულო.

კომპოზიტური არსებით სახელთა წარმოებისათვის ქართულ, აფხაზურ და ადიღეურ ენებში*

ქართულ, აფხაზურ და ადიღეურ ენებში კომპოზიტური წარმოების არსებითი სახელები ინტენსიურად გვხვდება, თუმცა რთულ სიტყვათა წარმოება რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ ენებში.

სამივე ენაში გვხვდება რედუპლიცირებული კომპოზიტები, რომლებშიც მარცვლები უცვლელად მეორდება, ან რომელიმე კომპონენტი (ძირითადად ხმოვანი) არის შეცვლილი.

ტოლადშერწყმული (შეერთებითი) კომპოზიტები ძირითადად ორცნებიანია და შედგება ორი ან სამი, იშვიათად მეტი კომპონენტისაგან.

განსაზღვრებით კომპოზიტებში ამ ენების მორფოლოგიისთვის დამახასიათებელი ელემენტები ჩნდება (ბრუნვის ნიშანი, კუთვნილების მაწარმოებელი...).

მოხსენებაში განხილულია სახელურ კომპოზიტთა წარმოების თავისებურებანი ქართულ, აფხაზურ და ადიღეურ ენებში და წარმოდგენილია მათი შეპირისპირებითი ანალიზი.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

თხზულ არსებით სახელთა კლასიფიკაცია ქართულ და ნახურ ენებში*

კომპოზიციური სიტყვაწარმოება უნივერსალური ლინგვისტური მოვლენაა, არ არსებობს ენა მის გარეშე, თუმცა განსხვავდება მათი წარმოების წესები ენათა შინაგანი ბუნებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე.

საზოგადოდ, სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებით პროდუქტიულია არსებით სახელთა კომპოზიციური წარმოება. ქართულ და ნახურ ენებში რთული არსებითი სახელების სტრუქტურა შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

[N+N]_N

[N+ADJ]_N

[ADJ+N]_N

[NUM+N]_N

[ADV+N]_N

[N+INF]_N

მხოლოდ ნახურ ენებში გვხვდება ნაცვალსახელი თხზული არსებითი სახელის კომპონენტად [POSS+N]_N.

ენათა მრავალფეროვანი სტრუქტურიდან გამომდინარე, რთულდება საერთო საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავება. როგორც ქართულ, ისე უცხოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კომპოზიტებს სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ, ძალზე მრავალფეროვანია ტერმინოლოგიაც. საკლასიფიკაციო ნიშნად ზოგიერთი მკვლევარი იყენებს სემანტიკურ მახასიათებლებს, ზოგი მხოლოდ გრამატიკულს, ზოგი გრამატიკულსა და სემანტიკურს ერთდროულად და სხვ. ყველა ეს სისტემა ერთი კუთხით წარმოაჩენს აღნიშნულ სიტყვებს და სრულად არ აღწერს კომპოზიტთა მახასიათებლებს. არსებულთაგან ყველაზე სრულყოფილად მიიჩნევა იტალიელ მეცნიერთა, შალისესა და ბისეტოს სქემა (2009), რომელიც წარმატებით

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-072, არსებით სახელთა კომპოზიციური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)).

გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ოჯახის ენათა რთული სიტყვების საკლასიფიკაციოდ. მასში გრამატიკულთან ერთად გათვალისწინებულია კომპოზიტა შემადგენელ კომპონენტებს შორის არსებული სემანტიკური ურთიერთობა – ენდო და ეგზოცენტრულობაც, რაც მეთაური სიტყვის ქონა, არქონას გულისხმობს. ქართულ-ნახური ენების რთულ სიტყვათა შედარებითი ანალიზი აქამდე არ ჩატარებულა, ამასთანავე, მათ აღსაწერად გამოყენებული სქემებიც გარკვეულწილად ნაკლებია. ჩვენ შევეცადეთ შალისესა და ბისეტოს მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით აღგვეწერა და დაგვეჯგუფებინა იბერიულ-კავკასიურ ენათა (ამ შემთხვევაში ქართულისა და წოვათუშურ-ჩეჩნურ-ინგუშურისა) თხზული არსებითი სახელები. ამ სქემის მიხედვით ცალ-ცალკე ჯგუფდება სუბორდინაციული, ატრიბუტული და კოორდინაციული კომპოზიტები. თითოეულ მათგანში კი გვაქვს ეგზოცენტრული და ენდოცენტრული ჯგუფები, ამასთანავე, გამოყოფილია ე. წ. სინთეტური კომპოზიტები, სადაც გარდა კომპოზიციისა, თანადროულად ხდება დერივაციაც. ატრიბუტულ კომპოზიტებში ცალკე სახეობადაა მოცემული აპოზიციური ერთეულები, რაც იძლევა სისტემის სრულად და არაერთი ნიშნით აღწერის საშუალებას.

რ მ ა ნ ლ ო ლ უ ა

განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa) ლეზგიურ ენაში*

ლეზგიური ენასათვის დამახასიათებელია არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება. კომპოზიტა შორის ჭარბობს შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa), მაგ., **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“) და სხვ.

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072 „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი“).

რაც შეეხება განსაზღვრებით კომპოზიტებს: მ. ჰასპელმათის აზრით, ლეზგიურს საერთოდ არ მოეპოვება აღნიშნული კომპოზიტები, რასაც ვერ გავიზიარებთ. ლეზგიურში არაიშვიათად გვხვდება *composita determinativa*.

განსაზღვრებითი კომპოზიტები ზოგადად წარმოიქმნება მსაზღვრელ-საზღვრულის ლექსიკალიზაციის გზით. ამ ტიპის კომპოზიტები ლეზგიურ ენაში კომპონენტთა შერწყმისას წარმოქმნილი ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავეყოს სამ ჯგუფად:

1) მატერიალური ცვლილებების გარეშე წარმოებული განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ყურუყერებ** „ნაჭრის სიგრძე, გრძელი მხარე“ (**ყურუ** „მშრალი“ + **ყერებ** „კიდე“);

2) მცირე მატერიალური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ხალადხუა** „დეიდაშვილი (მამაკაცი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **ხუა** „ვაჟიშვილი“);

3) მნიშვნელოვანი მატერიალური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ხადე** „ბებია“ (**(ხუ)ხა-(დინ)** „მამის“ + **(დი)დე** „დედა“)...

განსაზღვრებითი კომპოზიტები სამ ჯგუფად იყოფა სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისითაც:

1) მოტივირებული კომპოზიტები, ანუ ამ კომპოზიტების ლექსიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობისაგან, მაგ., **ხალადრუმ** „დეიდაშვილი (ქალი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **რუმ** „ქალიშვილი“);

2) ნაწილობრივ მოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **ჯიზილ-ჯუმ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“);

3) არამოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **აღუტურ** „ძუნწი“ (**აღუ-(დინ)** „შხამის“, „საწამლავის“ + **ტურ** „კოვზი“)...

აგებულების მიხედვით *composita determinativa* ლეზგიურ ენაში შედგება, ერთი მხრივ, წარმოშობით არსებითი სახელისა (სახელობითში) ან გასუბსტანტივებული მიმღობისაგან („საზღვრულის“ კომპონენტი) და, მეორე მხრივ, არსებითი სახელისაგან (როგორც წესი – გენტივის, ზოგჯერ კი – სახელობითისა ან IV ლოკატიური ბრუნვის ფორმით), რიცხვითი სახელისაგან, ზედსართავისა ან მიმღობისაგან („მსაზღვრელის“ კომპონენტი); მაგალითებია:

ირანდიდე „სიდედრი“ (**ირან/იარან** „პატარძლის“, „შეყვარებულის“ + **დიდე** „დედა“);

ჯუზაფად „ჩრდილოვანი მხარე“ (ჯუზა „ჩრდილი“ + ფად „მხარე“);

რეყეყულ „აეშანი“, „აბზინდა“ (რეყე IV ლოკ. რეკ „გზა“, „გასასვლელი“ ფორმისა + ყულ „ტერფი“, „ცეკვა“);

ფუდჭერ „სამგლოვიარო რიტუალები“ (ფუდ „სამი“ + ჭერ (აიჭერ) „ღამეები“);

აარღირუშ „ცისარტყელა“ (აარღი „მაღალი“, „გრძელი“ + რუშ „ქალიშვილი“);

თურტუ „ხორცის ღვეზელი“ (თურ „ჩადებული“ + ტუ „პური“);

ყუეთხუერარ „ტყუპები“ (ყუეთ (ყუდ) „ორი“ + ხუერ-არ „დაბადებულები“) და ა. შ.